ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან






ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 168 (12 543) 19 ივლისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## როგორ იზომება სიამოვნების ულუფა?

ზოგადსაკაცობრიო საკითხი

»»» 3

## ნაკრებს რეალივით ავათამაშებ

ინტერვიუ ვისენტე დელ ბოსკესთან

»»» 8-9

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუპერის ტესტი საქართველოსთვის




»»» 2



## იაშვილს მინსკის დინამო გასინჯავს

»»» 2



## ფერგის სჯერა, რომ ის რჩება

»»» 6

## ზეედორფი იუვენტუსში?



მორატი ლემპარდის ალტერნატივას ეძებს

## ტრანსფერი ჩაშლის პირას

»»» 8

»»» 9



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი

# კიდევ ერთხელ ექტორ კუპერზე

მოგეხსენებათ, **ნიკო პატარქალიშვილს** არგენტინულ საფეხბურთო წრეებთან კარგი კონტაქტები გააჩნია. საქართველოს ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატი კი არგენტინელი მწვრთნელი **ექტორ რაულ კუპერია**. პატარქალიშვილმა საკუთარი კავშირები აამოქმედა და გუშინ ასეთი ამბავი გვამცნო.

"კუპერის წარმომადგენელ ალეხანდრო კამანიოსთან მქონდა საუბარი. მან მითხრა, რომ ექტორ კუპერმა ძალზედ გაიხარა, როცა გაიგო რომ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელობას სთავაზობენ. ის ამ წინადადებას ძალზედ სერიოზულად განიხილავს და მზადაა, ორშაბათიდან ხუთშაბათამდე (24 ივლისამდე) თბილისში ჩამოვიდეს. კუპერის სურვილია საქართველოში ორი-სამი წარმომადგენელი, მათ შორის ადვოკატიც თან იახლოს და ქართულ მხარესთან კონკრეტული მოლაპარაკებები გამართოს.

კუპერი მზადაა, მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში მინიმუმ 17 თვე საქართველოში იცხოვროს. გასვლითი ვიზიტები კი ლეგიონერებზე დაკვირვებას დაუთმოს.

კუპერთან მოლაპარაკებები სააგენტო VIPSOCCER-ის დახმარებით მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, თუ კუპერსა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის ფინანსურ პირობებზე შეთანხმება შედგა, მაშინ არგენტინელი მწვრთნელი აქაური გარემოს გასაცნობად და კონკრეტული მოლაპარაკებების გასამართად, თბილისში ჩამოვა", - გვითხრა პატარქალიშვილმა.

**დავით ცაბაძე**


ექტორ რაულ კუპერი

# მუჯირმა, შესაძლოა, ფიფაში იჩივლოს

## ირანელი ქართველობა ახალ გუნდს ეძებს


აქვსენტი გილაური

ირანის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ქართველებს პრობლემები შეექმნათ - ისპაჰანის "სეპაჰანის" მცველი **ჯაბა მუჯირი** და ნახევარმცველი **აქვსენტი გილაური**, ვინც ბოლოს "პეგას" ფეხბურთელი იყო, გაურკვევლობაში არიან.

"სეპაჰანში" მწვრთნელი შეიცვალა და ჯაბას უთხრეს, ახალი დამრიგებლის გემოვნებაში ვერ ჯდები და სხვა გუნდი უნდა მოძებნოო.

" ყოველივე ეს მაშინ მითხრეს, როცა ირანის გუნდებში დაკომპლექტების პერიოდი საცაა დასრულდება. " ისპაჰანთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს, თუმცა კლუბს არ უნდა ტყუილად მიხადოს ფული და თან დავასაც ერიდება. კუთვნილი ხელფასი რომ არ მომცენ, შესაძლოა, ფიფაში ვიჩივლო. მოკლედ, ასეთ ცუდ სიტუაციაში ვარ. რა თქმა უნდა, ახალ გუნდს ვეძებ, მაგრამ ჯერ ისიც არ ვიცი, რა თანხას მოითხოვს ჩემში "სეპაჰანი". ისიცაა, რომ ირანში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული - არა უმეტეს ხუთი უცხოელი ერთ კლუბში, რაც ახალი გუნდის მოძებნას კიდევ უფრო მიძნელებს" - გვითხრა მუჯირმა.

რაც შეეხება გილაურს, "პეგასაც" შეეცვალა მწვრთნელი და ამ ჩვენებურსაც იგივე უთხრეს, ახალ თავკაცს არ სჭირდებიო. თუმც გილაურის სიტუაცია უფრო რთულია - "პეგასთან" კონტრაქტი ამოწურული აქვს.

გილაურს და მუჯირს ირანში არაერთი სეზონი ჩაუტარებიათ და მათ იქ კარგად იცნობენ, მაგრამ დროის სიმცირე და ლეგიონერთა ლიმიტი საკმაოდ მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# დიმიტრის მარცხი, გიორგის მოგება


დიმიტრი ტატანაშვილი

**დიმიტრი ტატანაშვილის** პლზენის „ვიქტორია" ინგლისურ „ბირმინგემ სიტისთან" 1:3 დამარცხდა. წინა ტესტ-მატჩში გოლის გატანამ ქართველ ფორვარდს სასტარტო შემადგენლობაში დაუბევა ადგილი, თუმცა ამჯერად მან თავი ვერ გამოიჩინა. ტატანაშვილი 71-ე წუთზე შეცვალეს. სამაგიეროდ, იმარჯვა მეორე ჩეხურმა კლუბმა, სადაც ქართველი ლეგიონერი თამაშობს – „მლადა ბოლესლავმა" 2:1 მოუგო პოლონეთის „სლასკს" ვროცლავიდან. **გიორგი განუგრავამ** მეორე ტაიმი ითამაშა **პოლაშეკის** ნაცვლად.

### მანჩხავა და ხუბუტია ლუზიტანს ჩააბარეს

„კაუნასს" მწვრთნელი შეუცვალეს. დღეიდან გუნდს პორტუგალიელი სპეციალისტი **ჟოზე კოუსეირუ** გაწვრთნის. 45 წლის პორტუგალიელს „ალვერკასა" და სეტუბალის „ვიქტორიაში" უმოღვაწია, ის ცოტა ხნით პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი იყო. ლიტვის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის ღირსებას ორი ქართველი ლეგიონერი იცავს, მცველი **აკაკი ხუბუტია** და ნახევარმცველი **ნუკრი მანჩხავა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# იაშვილს მინსკი გამოცდის

2006-07 წლების ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი **სანდრო იაშვილი** თბილისის "დინამომ" შარშან ზაფხულში შვეიცარიულ "თუნში" გაანათხოვრა და სეზონში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

იაშვილი კონტრაქტით კვლავაც "დინამოს" ეკუთვნის და შესაბამისად მისი მომავალიც სწორედ თბილისურ კლუბზეა დამოკიდებული. სანდრო იაშვილის თაობაზე "დინამოს" მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძეს** ვკითხეთ და გვითხრა, რომ იაშვილი გვიან შეუერთდა გუნდს, დუბლებში ვარჯიშობს და თუ სხვა კლუბში გადაწყვეტს კარიერის გაგრძელებას, ხელს არ შევუშლითო.

როგორც გავიგეთ, იაშვილი სიმფეროპოლის "ტავრიის", ზაპოროჟიეს "მეტალურგის", ერთი ავსტრიული კლუბისა და მინსკის "დინამოს" ინტერესებშია. თუმცა ამ ვარიანტებიდან უფრო გამოკვეთილი მინსკური კლუბია და ხვალ სანდრო მინსკში მიფრინავს. ბელარუსის უმაღლეს ლიგაში ჩემპიონატის პირველი წრე 16 ივლისს დასრულდა. ახლა 10-დღიანი შესვენებაა და მეორე წრე 26 ივლისს დაიწყება. იაშვილი მინსკში ტესტირებაზე ჩადის, ბელარუსში სატრანსფერო პერიოდი 31 ივლისს იხურება და სანდროს საკითხი მანამდე გაირკვევა.

"სათამაშო პრაქტიკა არ მქონდა და ახლა ჩემთვის საჭიროა ისეთ გუნდში ვიყო, სადაც თამაში მომიწევს. მინდა ჩვეულ ფორმაში შევიდე და მერე უკეთეს გუნდსაც დავაინტერესებ ჩემით. მინსკის "დინამო" ამ ეტაპისთვის კარგი ვარიანტია. ჩავალ და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მწვრთნელებს მოვეწონო და გუნდის ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად სერიოზული განაცხადი გავაკეთო", - გვითხრა იაშვილმა.

სავარაუდო ტრანსფერთან დაკავშირებით ფეხბურთელის აგენტ **მალხაზ მუსერიძესაც** დავუკავშირდით.

"ფეხბურთელის ცხოვრებაში ისეთი პერიოდიც დგება, როცა ახლიდან უწევს ყველაფრის დაწყება. როგორც ვატყობ, იაშვილი საამისოდ მზადაა. ბელარუსული კლუბის მესვეურებმა მითხრეს, სანდრო იაშვილის საკითხი მაქსიმუმ მომდევნო კვირის ბოლოს გაირკვევაო", - აღნიშნა მუსერიძემ.

**დავით ცაბაძე**

# ბჟალავას არ ენდნენ

გასულ სეზონში ქართველი ლეგიონერის, **მირზა ბჟალავას** „აუსტრია" ლუსტენაუდან ბოლო ტურებამდე ინარჩუნებდა ავსტრიის ბუნდესლიგაში გადასვლის შანსს. წლეულს კი გუნდმა სეზონი ორი მარცხით დაიწყო. წუხელ, ლუსტენაუელები სტუმრად „გრატკორნთან" 0:2 დამარცხდნენ და ისინი ბოლო ადგილზე არიან. პირველ ტურში მირზა სასტარტო შემადგენლობაში იყო, ახლა კი ის სათადარიგოთა შორისაც არ ყოფილა. მე-3 ტურში „აუსტრია" „ზალცბურგის" ახალგაზრდულ გუნდს უმასპინძლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:
გიო ახვლედიანი, ილია ბაზუნაშვილი, კოტე გოგიშვილი, ლაშა გოდუაძე, გოჩა კაკაჩავა, მამუკა კვარაცხელია, დავით კოპაძე, მირიან მამულაშვილი, ზვიად ხინჩაშვილი, დათო ცერცვაშვილი
კაპიტანი გიორგი გორგოძე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**. ნომრის მორიგე რედაქტორი შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: ** იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ზოგადსაკაცობრიო საკითხი: როგორ იზომება სიამოვნების ულუფა?




დავით თავართქილაძე



სულელი არ ვიყავი, საქართველოში საფეხბურთო კლუბის შექმნა რომ გადავწყვიტე?! ბევრს შემოურტყამს თავში ხელი, მაგრამ ფეხბურთი სულ სხვაა, სულ სხვა სალერღელია და სულ სხვა არის სიამოვნების ულუფა.
ეს სიამოვნების ულუფა კი ისეთია, თან გაქვს, თან - არა. ჭამა-სმა და რაგინდარა განცხრომა მართლაც სიამოვნების ულუფაა და მათემატიკურადაც იზომება, ფეხბურთის კი რა გითხრათ, ულუფებს აქ სხვანაირად ითვლიან. მაგალითად, როცა უყურებ 1982 წლის მუნდიალის ბრაზილია-იტალიას, არგენტინა-იტალიას და საფრანგეთი-გერმანიას, გიხარია, რომ იმათზე მეტი ულუფა შეხვდა, ვისაც ინიესტამდე, ტორესამდე, ვილიამდე და ბალაკამდე გამორჩეული ფეხბურთელი არავინ უნახავს. მაგრამ ეს ულუფა ისეთია, ვერავის დაუმტკიცებ, რომ ძალიან დიდია.
გიო ახვლედიანის თუ პაპუნა კედიას ერთი პატარა და გემრიელი საფეხბურთო ნარკვევი მირჩევნია ჩვენს რეიტინგულ ტელე-რადიო პროდუქციას, მაგრამ იქითა ულუფაში ძალიან ცოტას იხდიან, აქეთ კი ბევრად მეტს და ვინმე დაამტკიცებს, რომ ის ულუფა უფრო დიდია?
სიამოვნების ულუფების საკითხი ბევრისთვის ისედაც ჩახლართულია და კიდევ უფრო ძნელია იმის გარკვევა, როგორ ხდება ეს ქართულ საკლუბო ფეხბურთში. მე მაინც მგონია, რომ აქ მთლად სიამოვნების ულუფებით არ არის საქმე აგებული, თუმც არის გამონაკლისებიც.
ახლა ძალაინ აქტუალური გახდა იოსებ კაკიაშვილი, იგივე ჯოზეფ კეი. რუსთავის "ოლიმპი" კარგი ფეხბურთელებით რომ კომპლექტდება, ამ კაცის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. ჯოზეფ კეის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აქვს თავი ინტერესები და რუსთავული ფეხბურთისთვისაც გამოდის ფულს, თუმც ზუსტად არავინ იცის, რატომ. ჭორებიც დაიყარა, ჯოზეფ კეი "დინამო თბილისსაც" შეეწევა ფულით, რაც ბადრი პატარკაციშვილის იყო, თითქმის ყველაფერს კეი უკირკიტებს და "დინამო" რატომ უნდა იყოს გამონაკლისიო. სადაც მკაფიოდ არ ჩანს, რა უნდა ამ საქმოსანს ფეხბურთში, იქ ულუფებზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. სხვაგან კი სხვანაირადაა, მაგალითად, ბოლნისის "სიონში". დავით კირკიტაძემ ერთხელაც გადახედა ბოლნისურ ფეხბურთს მოწყალების მზერით და "სიონიც" უკვე მოფულიანდა. სწორედ კირკიტაძე იყო, 2006 წელს "სიონის" ჩემპიონობაში მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულა, მერე კი ამბიცია მოემეტა და ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელ არჩევნებში ძალიან საკვანძო ფიგურა გახდა, თუმც ხელიოსუფლების მეორე ფლანგს ვერ აჯობა. ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცმა იცის ულუფის ფასი, ფეხბურთში წარმატება მისთვის პრინციპის საკითხია და სულ მოძრაობაშია.
არის კიდევ სულ სხვა ულუფაც. "დინამო თბილისის" მმართველობამ "ლელოს" ჟურნალისტს ფარერულ "რუნავიკთან" მატჩისთვის აკრედიტაცია არ გამოუყო და ამით ალბათ ძალიან კმაყოფილია, ამით გააბევრა სიამოვნების ულუფა. ასეა, რას არ გაიგებს კაცი. იყო დრო, ქუთაისის "ტორპედოს" მწვრთნელმა გაზეთ "რეზონანსის" ჟურნალისტი აითვალწუნა და კლუბს მასზე არ გააცემინა საშვი. კოლეგიალობის ნიშნად კი გაზეთმა "სარბიელმა" უარი თქვა "ტორპედოს" საშინაო მატჩების გაშუქებაზე და ეს გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადი, თანაც მაშინ, როცა ქუთაისელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავდათ და სამჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.
ახლა კი სხვა დროა და ქუთაისის "ტორპედომაც" არსებობა შეწყვიტა, თუმც ქუთაისში გამოჩნდა გონიერი ხალხი და ახლადშექმნილ ქუთაისურ გუნდს "ტორპედო 2008" დაარქვეს. ფეხბურთი ტრადიციული თამაშია და ეს ქუთაისში კარგად ესმით. ხალხი სტადიონზე რომ მივა, მაინც ტორ-პე-დოს ყვირილს დაიწყებს და არა ტორ-პე-დო-ორი-ათას-რვის. ოღონდ ეგაა, სჯობდა "ტორპედოს" არსებობა გაეგრძელებინა.
წლევანდელი ევროსარბიელი "დინამომ", "ზესტაფონმა" და "ვიტ ჯორჯიამ" კარგად დაიწყეს. "დინამოს" შემფასებლად "პანათინაიკოსთან" მატჩები გამოდგება, "ზესტაფონმა" და "ვიტ ჯორჯიამ" კი უკვე დაგვანახეს, რომ საშუალო ევროპულ დონესთან მიახლოვება შორეული ლანდი არ არის. "დიორი" და "ტრნავა" მათი კბილა გუნდებია და იქნებ კისერიც მოუგრიხონ მეტოქეს.
დავით თარგამაძემ "ფრაიბურგთან კონტარქტი გააფორმა, ლევან ყენია "შალკეს" ამხანაგურ მატჩებში ყოჩაღად გამოიყურება - წინ მივდივართ და იმან იკითხოს, თარგამაძე მესამე გუნდში რომ ჰყავდა და ულუფად ძალიან პატარა, სასაცილო რაღაცა რომ შერჩა - სხვა რა დავარქვათ ჟურნალისტისთვის საშვის არგაცემას?!



რა სიამოვნებას იღებს ჯოზეფ კეი რუსთავის ოლიმპიდან?

## დერდენი ქართველებს იტოვებს

### კიევში არატიპური თოთაძე მოეწონათ



იოჰან ბოსკამპი ქართველებს ვერ ელევა

"გაგრის" ოთხი ფეხბურთელი შესაძლოა, უახლოეს პერიოდში უცხოურ კლუბებში ჩაირიცხოს. "დერდენში" **იოჰან ბოსკამპი** სამ ახალგაზრდას სინჯავს - მცველ **ვახტანგ ქვრივიშვილს**, საყრდენ ნახევარმცველ **გიორგი ცხადაიას** და თავდამსხმელ **ზურაბ ძაგანიას**.

კიევის "დინამოში" კი მარცხენა მცველ **ლაშა თოთაძეს** ორი კვირაა, აკვირდებიან. "გაგრის" ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ** საინტერესო სიახლეები გვითხრა.

- ბელგიურ კლუბში ჩვენს ბიჭებზე დაკვირვება, ფაქტობრივად, დასრულებულია. ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს "დერდენის" ხელმძღვანელობასთან და ვიცით, რომ ტესტირების და თამაშის დროს სამივემ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უკვე ორი საკონტროლო მატჩი გამართეს და ის თვისებები გამოავლინეს, რომელსაც მათგან ელოდნენ. უკვე, გადაწყვეტილია, რომ ქვრივიშვილი, ცხადაია და ძაგანია "დერდენში" დარჩებიან და კონტრაქტს გააფორმებენ.

- ასევე დამაიმედებელი სიახლეები შევიტყვეთ კიევის "დინამოდან", სადაც ჩვენი მარცხენა მცველი ლაშა თოთაძე ისინჯება. ლაშამ უკვე ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ორივეში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენს პრეზიდენტს, ბესო ჩიხრაძეს "დინამოს" ხელმძღვანელებმა უთხრეს, განსხვავებული ქართველი ჩამოგვიყვანეო. ლაშამ ჯერ შერეულ შემადგენლობაში ითამაშა, შემდეგ "არსენალის" წინააღმდეგ და როგორც გვითხრეს, ალბათ, კიევის "დინამოში" დატოვებენ.

რა თქმა უნდა, ქართველი ახალგაზრდების ძლიერ გუნდებში მოხვედრა სასიხარულოა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში გადასულ "გაგრას" გაძლიერება სჭირდება.

ამჟამად გუნდში სამ მოთამაშეს სინჯავენ: ქუთაისის "ტორპედოს" მარცხენა მცველ **ჯიმი გაბუნიას**, რუსთავის "ოლიმპის" ცენტრალურ მცველ **გიორგი ჩიხრაძეს** (რომელიც შარშან ახალგაზრდულ ნაკრებს ყაზახეთში ახლდა) და ზუგდიდელ **გიორგი გაბედავას**, რომელმაც დასრულებული პირველობის მეორე წრე რუსთავის "ოლიმპში" ითამაშა.

უახლოეს დღეებში "გაგრა" ორ საკონტროლო მატჩს გამართავს - 20 ივლისს 17.30 საათზე მუხრანში ახალციხის "მესხეთს" უმასპინძლებს, 21 ივლისს კი "ამერს" შეხვდება, სავარაუდოდ, საგურამოს ბაზაზე.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ჟილვან ვიეირასთან

# ექსკურსია არ იქნება



ქვეყნის თასის მფლობელმა "ზესტაფონმა" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი სტუმრად უნგრულ "დიორთან" 1:1 ითამაშა. "ზესტაფონიდან" გოლი ჟილვან ვიეირამ გაიტანა და ალბათ საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ის უნგრულ და საპასუხო მატჩებზე.

**- დღეს როგორ იხსენებ "დიორთან" თამაშს?**

- ერთს თავიდანვე ვიტყოდი, მატჩამდე მწვრთნელებმა საბრძოლოდ განგვაწყვეს, ფსიქოლოგიურად ყველანი სრულად მობილიზებულები ვიყავით. პირველივე წუთებიდან ცხარე ბრძოლაში ჩავებით. თავდაპირველად კი გაგვიჭირდა, მაგრამ მალევე დავეუფლეთ ჯერ ტერიტორიულ, მერე სათამაშო უპირატესობას და ჩვენი კარნახით წარვმართეთ თამაში. პირველ ტაიმში პირწმინდად ვაჯობეთ მასპინძლებს. უნგრელებმა მეორე ნახევარი უკეთ ითამაშეს. გაშვებულ გოლამდე ჩვენც შეგვეძლო გატანა, მაგრამ მეორე ბურთი ველარ შევაგდეთ.

**- შენს გოლზე რას გვეტყოდი?**

- იმ პოზიციიდან ჯარიმებს უმეტესად მე ვასრულებ. ძლიერად დავარტყი, ბურთი მცველს მოხვდა, მაგრამ ძალიან მცირედით შეიცვალა მიმართულება და კარის ბადეში აღმოჩნდა. ეს პირველი ტაიმის დამატებულ წუთებზე მოხდა. უცებ მართლა გამიჭირდა იმისი დაჯერება, რომ გოლი გავიტანე, მერე ყველაფერი აღვიქვი და უზომოდ ბედნიერად ვიგრძენი თავი...

**- გასაგებია, რომ მოედანზე 90 წუთის განმავლობაში ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა. მწვრთნელების ტაქტიკურ დაპირისპირებაზე რას გვეტყოდი?**

- ფეხბურთში ტაქტიკა ბევრს ნიშნავს. თავი რომ შეაკლა მეტოქეს, თუ სწორი ტაქტიკა არ გაქვს არჩეული, ისე არაფერი გამოგივა. ასე იყო უნგრეთშიც. ჩვენმა მწვრთნელმა უნგრელი კოლეგა ნამდვილად დაჯაბნა , თორემ "დიორი" საკმაოდ კარგი გუნდია. ასე რომ, სწორი ტაქტიკა რომ არა, დიორში ფრე ძალიან გაგვიჭირდებოდა. ჩვენი ტაქტიკა არც ყრუ დაცვა იყო და არც შეტევაში თავქუდმოგლეჯილი წასვლა. დაბალანსებული ტაქტიკა-სტრატეგია გვქონდა.

**- ამ ფრის შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ აფასებ?**

- გასვლითი ფრე ჩვენს შანსებს ზრდის. ახლა უკეთეს მდგომარეობაში ვართ, თუმცა ზესტაფონში ძალზე რთული მატჩი გვექნება.

**- "ზესტაფონის" შანსი მაინც რამდენია პროცენტულად?**

- ვფიქრობ 60-65% ჩვენია, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. შინ უფრო მეტი ბრძოლა მოგვიწევს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მეტოქის შანსები შემცირდა და საპასუხო შეხვედრაში უნგრელები საექსკურსიოდ კი არა, საბრძოლოდ ჩამოვლენ.

**- "დიორი" ის გუნდია, რასაც ელოდით?**

- მწვრთნელებმა მატჩამდე გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნეს მეტოქეზე. მართალი გითხრათ, რასაც ველოდი, "დიორი" იმაზე უკეთესი, თორემ უარესი გუნდი ნამდვილად არაა.

**- საპასუხო მატჩში ყველაზე უფრო რა ფაქტორი იქნება მნიშვნელოვანი?**

- შინაური, ნაცნობი გარემო სულ სხვაა. მჯერა, 31 მაისს ზესტაფონის სტადიონზე ანშლაგი იქნება. ხალხი თბილისიდანაც ჩამოვა და გულშემატკივარი ერთგულად გვიქომაგებს. გულშემატკივარს შეუძლია მოედნის მეთორმეტე ფეხბურთელის როლი იკისროს და მჯერა, სწორედ ასე იქნება.

**- თქვენ რას ჰპირდებით ქომაგებს?**

- თავს შევაკლავთ მეტოქეს. "დიორის" ბარიერის გადალახვა შეგვიძლია და მჯერა, ამას მოვახერხებთ კიდეც.

**დავით ცაბაძე**

თვალსაზრისი

# ჯერ არნახული

ფეხბურთი ზოგჯერ ალოგიკური სპორტია. სუსტი ძლიერს ერევა, ღარიბი მდიდარს. აგერ, ბატონო, ორი ქართული გუნდის უეფაზე შერცხვენის მოლოდინში, "ლაივსკორზე" შიშით შევდიოდით და ჰოი, საოცრებავ, ორი გასვლით ფრე მივილეთ: "ვიტ ჯორჯიამ" ტრნავაში "სპარტაკთან" მოგება ბოლო 16 წუთში გაანიავა, "ზესტაფონმა" კი უნგრეთში "დიორ ეტოსთან" ასევე ფრე მოიპოვა.

მანამდე, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამომ" ფარერის ჩემპიონი დაამარცხა. მოკლედ, ეს ერთი კვირა მოულოდნელად გავიხარეთ და იმედი გაცოცხლდა, რომ ქართული ფეხბურთი მთვლემარე მდგომარეობიდან გამოდის.

მოკლედ, 2008 წლის ივლისში უნიკალური ფაქტი დაფიქსირდა - ევროტურნირში მონაწილე ქართული გუნდებიდან პირველ ნაწილში არც ერთი არ დამარცხებულა.

ასევე პირველი შემთხვევაა, როდესაც უეფას თასზე გასვლითი შეხვედრები ერთდროულად არც ერთმა გუნდმა არ წააგო.

რა მიღწევაა, არა? მაგრამ ესეც რომ არასდროს გვღირსებია, ამიტომ გვიხარია. ძნელი სათქმელია, ასეთი წარმატებული გამოსვლა, ჩვენი სიხარული როდემდე გაგრძელდება და ჯერ არავინ უწყის, განმეორებით მატჩებში რა მოხდება, მაგრამ ამ გუნდების უკვე ნორმალურ გამოსვლას გარკვეული მიზეზები გააჩნია.

"ზესტაფონი" და "ვიტ ჯორჯია" მწვრთნელთა ხშირი ცვლის რეკორდსმენები იყვნენ. 2005 წელს იმერლებმა ოთხი მწვრთნელი გამოიცვალეს. არანაკლები სიხშირით სიახლეებს "ვიტ ჯორჯიაშიც" ვაწყდებოდით და არასტაბილური თამაში ამის შედეგიც გახლდათ.

რა თქმა უნდა, ქართული კლუბების დასუსტება მრავალი ფაქტორით აიხსნება - უფულობით, ინფრასტრუქტურის არარსებობით, ცუდი მოედნებით და ფეხბურთელთა უცხოეთში კატასტროფული დენადობით. თუმცა, მიზეზი მწვრთნელთა ხშირი ცვლილებებიცაა, რაც გუნდის პროგრესს და ჩამოყალიბებას ხელს უშლის.

**თემურ მახარაძეს** "ზეტაფონამდე", მიუხედავად წარმატებული მუშაობისა, "მერანში", "ლოკომოტივსა" და "სიონში" ხელმძღვანელობასთან პრობლემები ექმნებოდა. "ზესტაფონმა" 2006 წელს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და როგორც იქნა, გამოცდილ სპეციალისტს მშვიდად მუშაობის საშუალება მიეცა.

"ვიტ ჯორჯიაში" 2006 წლამდე უამრავი მწვრთნელი გამოიცვალეს და სრულად ერთი წელიწადი, ფაქტობრივად, არც ერთ მათგანს არ უმუშავია.

**რამაზ მუმლაძემ** კი რეკორდი მოხსნა - მესამე სეზონია "ვიტ ჯორჯიაში" მუშაობს და ვეტერინარებს საკუთარი ხელი დაატყო.

რა თქმა უნდა, ორი გასვლითი მატჩის ფრედ დასრულება იმის მიზეზად ვერ გამოდგება, რომ ეიფორიაში ჩავვარდეთ, "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი" უკვე ევროპული კლასის გუნდებად გამოვაცხადოთ და მათი მეორე წრეში გასვლა გადაწყვეტილად ჩავთვალოთ.

ეს არ ნიშნავს საფეხბურთო იბერიის გაბრწყინების დასაწყისს, ამ შედეგებმა არ უნდა აღძრას ილუზია, თითქოს ჩვენს ქუჩაზე ზეიმი იქნება. იქამდე ძალიან ბევრი გვიკლია და ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ ქართულ ფეხბურთში კრიზისი არაა.

ეს იყო ამოვარდნა, რომელშიც ძალიან დიდი როლი მწვრთნელის ფაქტორმა ითამაშა. ხანგრძლივი მუშაობა შედარებით უკეთესი გუნდის ჩამოყალიბების გარანტიაა და ეს საკამათო არ უნდა იყოს. გერმანიის ნაკრებს არსებობის ისტორიაში მე-11 მწვრთნელი ჰყავს, ოცი წლის საქართველოს ნაკრებს კი უფრო მეტი - თორმეტი (შუშაკს, სეგრტს, ტყებუჩავას, ქეცბაია-ყაველაშვილის მსგავს ორმატჩიან მწვრთნელებს არ ვთვლით) და რა შედეგს ველოდებით?

ჩვენნაირი სულსწრაფი, არარეალისტური ერი ქვეყნად მეორე ძნელად მოიძებნება. ევროთასებსა და შესარჩევ ციკლში წარუმატებლობების შემდეგ, მწვრთნელებს ისე ხსნიდნენ, თითქოს მათ მკვდარის გაცოცხლება შეეძლოთ და ვერ მოახერხეს.

"დინამოს" უეფას ჯგუფურ ეტაპზე გასვლა, გაგუა-კოპალეიშვილ-ჟორჟიკაშვილის ნაკრებების წარმატებები, შოტლანდიასთან მოგება, 17-18 ივლისის შედეგები კანონზომიერებიდან ამოვარდნილი მოვლენებია, რომელიც ჩვენს პოტენციალს ავლენს, მაგრამ სტაბილური გაგრძელება არ გააჩნია.

ვეჭვობ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ამჟამინდელი ძიება გაგრძელება იქნება წინა ციკლში დაწყებული სახელმწიფოს საფეხბურთო პოლიტიკისა, სადაც მუშამწვრთნელზე მეტად (რომელიც გუნდში ფუტკარივით იფუსფუსებდა), სჭირდებოდათ მწვრთნელი პიარისთვის. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ სავარაუდო კანდიდატთა სიაში **გრანტის** და **დონადონის** გვარების ამოტივტივება ამაზე მიუთითებს.

დონადონიმ მსოფლიოს ჩემპიონი იტალია ევრო 2008-ის ჯგუფში კინაღამ ჩატოვა, გრანტმა ვარსკვლავებით გაჭედილი "ჩელსით" ვერაფერი მოიგო და საქართველოში რას მიაღწევდა ან ერთი, ან მეორე?

ნაკრებს არ სჭირდება ტოპმიოლერივით მწვრთნელი, რომელმაც რუსეთში მოთამაშე **ამისულაშვილის** არსებობა დანიშვნიდან ექვს თვეში შეიტყო.

სტაბილურობა და სტაბილური მუშაობა - აი, რაც არის ფეხბურთში მნიშვნელოვანი და არსებული ვითარებაში ოდნავ უკეთესი გუნდების და ნაკრებების ჩამოყალიბების წინაპირობა.

**მერაბ მამულაშვილი**



თემურ მახარაძე

ამხანაგური მატჩები

# მეგოლეებმა ასისტენტობა გაცვალეს

**ამერი-მოყვარულები 3:0**

1:0 ჩიმაკაძე (23. შალამბერიძის პასით), 2:0 ჩიმაკაძე (28), 3:0 შალამბერიძე (75. ჩიმაკაძის პასით)

ამერი: ნადირაშვილი, მემარნიშვილი, გვაძაბია, ხატიშვილი, ელბაქიძე, ბენდელიანი, ქერაშვილი, ხუციშვილი, შალამბერიძე, კვეკვესკირი, ჩიმაკაძე.

შესვლაზე შევიდნენ: გვენცაძე, ცხოვრებაშვილი, ნ. ქებაძე, დევიძე, გიგა ჯელაძე, ჯანელიძე, ჩოხელი, სიჭინავა.

საქართველოს მოყვარულთა ნაკრები: ბარათელი, მაჭავარიანი, ბიბილაშვილი, ფიფია, ჭანკვეტაძე, ბოდოკია, ლეფსაია, ლატარია, ნორაკიძე, ნოზაძე, სვანიძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ბათურაშვილი, გალეგაშვილი, ჭაჭიაშვილი, გოგენია, ლვთისაშვილი, ბუცხრიკიძე, ჯოხაძე.

**გიორგი ჩიხრაძის** გუნდი გუშინ ამხანაგურ მატჩში საქართველოს მოყვარულთა ნაკრებს დაუპირისპირდა და იოლად მოიგო. გაცნობებთ იმასაც, რომ მოყვარულთა ნაკრები, რომელსაც **ელგუჯა გუგუშვილი** ხელმძღვანელობს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადება. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხელი **ბესო ჩიმაკაძე** გამოჯანმრთელების შემდეგ, ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას.

"ამერი" მომდევნო ამხანაგურ მატჩებს იქითა კვირაში ჩაატარებს. ჩიხრაძის გუნდი 21 ივლისს "გაგრას" ეთამაშება, 23-ში კი -"დინამო2"-ს.

**დავით ცაბაძე**

# გოლების წვიმა გურიაში

## დიდავა და კაკაშვილი იქნება, დავითაშვილიც?

ბრიგოლეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა "სიონმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. თბილისის "ლოკომოტივთან" ჩატარებული უგოლო ფრის შემდეგ **ოთარ კორღალიძის** გუნდი ქვედალიგოსან ლანჩხუთის "გურიას" გაეჯიბრა და როგორც იტყვიან, "გოლების წვიმაში მოჰყვა" - ბოლნისელებმა 5:4 იმარჯვეს. რაც შეეხება "სიონის" გოლებს, **ჯიქიძემ** ჰეთ თრიკი მიითვალა, თითო ბურთი კი **ბარბაქაძემ** და **უგრეხელიძემ** გაიტანეს.

სიონი: მამალაძე, ოქროპირიძე (15. გურგენაძე), სილაგაძე, ნაყოფია, ბ. ნოზაძე, ხუბუა, ქურასბედიანი, ბაჯელიძე, ჯიქიძე, ბარბაქაძე, უგრეხელიძე.

დღეს-ხვალ ბოლნისის "სიონს" "ამერის" ყოფილი ფეხბურთელები, ნახევარმცველი **გივი დიდავა** და მცველი **ლადო კაკაშვილი** შეუერთდებიან. როგორც გავიგეთ, ამ ორმა ფეხბურთელმას ბოლნისელთა გუნდში უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. შესაძლოა, ბოლნისელები კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდნენ. ჩვენი ინფორმაციით, "სიონი" აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს **სულიკო დავითაშვილთან**, რომელიც "ამერმა" კაკაშვილის და დიდავას დარად ტრანსფერზე დაყენა.

"სიონი" მორიგ ამხანაგურ მატჩს ხვალ ზუგდიდის "ბაიასთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

# მსაჯები და მსაჯობა

დასაწყისი „ლელო“ №88-დან

**ფეხბურთის** გარიჟრაჟზე ინგლისში მსაჯი იჯდა სავარძელში პირით ხაზთან, ან სულაც კოშკურაზე და იქიდან ხელმძღვანელობდა თამაშს, როგორც სარდალი ბრძოლას.

**სასტვენი** საფეხბურთო რეფერის ასორტიმენტში გაჩნდა მას შემდეგ, რაც ორმა ინგლისურმა კლუბმა სამსაჯოდ პოლიციელი მოიწვია. როდესაც მატჩის მსვლელობისას ვერც სიტყვამ და ვერც ჟესტმა ვერ გაჭრა, წესრიგის დამცველმა თავისი პროფესიული ინსტრუმენტი ამოიღო და ჩაჰბერა. ყველა ერთბაშად გაქვავდა. ასეა, კანონი საფეხბურთო მინდორზეც კანონია!

**ლინგვისტური ცნობა მსაჯებთან საუბრების მოყვარულთათვის.** სხვათა შორის, იგი... ამართლებს მათ ქმედებას! საქმე ისაა, რომ ინგლისური ზმნა "to refer" ნიშნავს ვინმესადმი მიმართვას. ეს გულისხმობს იმას, რომ მსაჯი ის კაცია, ვისაც შეიძლება (და საჭიროა) მიმართო! ასე იქცეოდნენ უწინ, როდესაც არბიტრი კოშკურაზე იჯდა და თავად ყოველთვის ვერ წყვეტდა საქმეს. არის შემონახული ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა გაესაუბრო არბიტრს. 1906/07 წლის სამსაჯო ქარტიაში შავით თეთრზე წერია: "ითამაშეთ ჯენტლმენურად. როდესაც მოითხოვთ გადაწყვეტილებას, ნუ ჰყვირით უბრალოდ "ჯარიმა!" თუ ბურთს ხელი შეეხო, იყვირეთ "ხელი!" მაშინ რეფერის ეცოდინება, თუ რას მოითხოვთ მისგან." გასაგებია?

**პირველი საფეხბურთო მატჩი,** რომელსაც ორი რეფერი სჯიდა, გაიმართა 1935 წელს ჩესტერში. მსაჯებმა **ე. ბატენმა** და **ნ. ვულმა** კარგად შეასრულეს თავისი მოვალეობა. თითოეული "საკუთარ" ნახევარს ემსახურებოდა. მაგრამ სიახლე არ დაინერგა. ზოგიერთის აზრით იმიტომ, რომ უმჯობესია ჯამაგირი ერთ მსაჯს გადაუხადო, ვიდრე ორს... ლოგიკური აზრია.

**გრანდიოზული სკანდალი** მოხდა მოსკოვში 1937 წელს (წარმოიდგინეთ ამ წელს სკანდალებიც ხდებოდა!) უძლეველი ბასკები თავიანთი ტურნეს ბოლო მატჩს საბჭოეთში "სპარტაკთან" (შენიღბულ ნაკრებთან) ატარებდა. მსაჯი **კოსმაჩოვი** იმდენად თავხედობდა, რომ სტუმრებმა თამაში შეწყვიტეს და მთავრობის ტრიბუნის წინ ჩამწკრივდნენ პირით ხაზზე. ლოჟაში გარინდული ბოლშევიკი მასპინძლები და რესპუბლიკური ესპანეთიდან ჩამოსული სტუმრები, მოწმენი გახდნენ პროტესტისა, რაც საბჭოეთისთვის სრულიად გაუგონარი რამ იყო. თამაში ნახევარი საათით შეწყდა. რის ვაი-ვაგლახით



მატჩი განახლდა და კოსმაჩოვმა თავისი დავალება შეასრულა - 6:2. სხვათა შორის,მრავალი წლის შემდეგ გამოირკვა რომ მარტო მსაჯს არ ჰქონია სპეცმითითება. საბჭოთა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს დონეზე მიღებულ იქნა წერილობითი დადგენილება, სადაც შავით თეთრზე წერია: "მოწინააღმდეგის უძლიერესი თავდამსხმელები, თამაშის მსვლელობისას უნდა დაემტვრიათ ("დოლჟნი ვიბიტ"). სტუმარ-მასპინძლობაც ასეთი უნდა და კომინტერნობაც!

**მსაჯებსაც გააქვთ ბურთები.** 1945 წლის 28 ოქტომბერს "ბრეშა"-"ტრიესტინას" მატჩისას, მასპინძელმა **დე ფილიპისმა** კუთხური მოაწოდა, ბურთი მსაჯს **სანდრო ბურატის** მხარში მოხვდა და ბადეში გაეხვია, წესების სრული დაცვით. ბურთი დე ფილიპისს ჩაეთვალა.

**ყველამ** კარგად იცის, რომ 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში უნგრეთმა გერმანიასთან 2:3 წააგო, მაგრამ ბევრმა ამ მატჩის ნიუანსები არ იცის. 84-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 2:2 იყო, გერმანელმა **შეფერმა** უნგრელ **ბოჟიკს** აშკარა უხეშობით ბურთი აართვა, რის შედეგადაც გოლი გავიდა 3:2. ეს უხეშობა ყველამ დაინახა, მთავარი რეფერის ინგლისელი **ლინგის** გარდა, ხოლო როდესაც ამის შემდეგ **პუშკაში** ზეიმობდა ანგარიშის გათანაბრებას, არბიტრმა თამაშგარე აღნიშნა. სხვათა შორის, ლაინსმენს **გრიფიტს,** რომელიც ყველაზე კარგად ხედავდა ყოველივეს, ალამი არ აუწევია...

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ინგლისში, მასპინძლებისა და არგენტინელების შეხვედრისას, გერმანელმა მსაჯმა **კრეტლაინმა** სამხრეთამერიკელთა კაპიტანი **რატინი** მინდვრიდან გააძევა გინებისთვის. მატჩის შემდეგ ესპანურენოვანმა ჟურნალისტებმა სულ დედის სული უტრიალეს რეფერის, მან კი წარბიც არ შეიხარა, რადგანაც... სიტყვაც არ ესმოდა ესპანურად! ასე გაიყიდა **კრეტლაინი,** თუმცა ამით წაგებულ არგენტინელებს მაინც არაფერი ეშველა.

ამ გაძევებამ სხვა უხერხულობაც გამოიწვია. განრისხებული და დაბნეული რატინი ხალიჩის ბილიკით პირდაპირ... სამეფო ლოჟისკენ გაეშურა. ორგანიზატორებმა მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინეს და სკანდალი აიცილეს.

**პარადოქსი:** ბაქოს ცენტრალურ სტადიონს იმ კაცის სახელი ჰქვია, ვინც გლობალური დონის არაობიექტურობით გამოიჩინა თავი... 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს, ინგლისელმა **ჯეფი ჰერსტმა** ბურთი გერმანელთა კარის ხარიხას მოარტყა, ბურთი პირით ხაზს დაეცა და მოედანზე დაბრუნდა. მთავარი არბიტრი შვეიცარიელი **დინსი** საბჭოთა ლაინსმენ **ბახრამოვთან** მიიჭრა და ინგლისურად ჰკითხა "იყო გოლი?" ტოფიკმა, რომელმაც მხოლოდ ერთი სიტყვა იცოდა ინგლისურად, უმალ უპასუხა "იეს!" ინგლისელები ჩემპიონები გახდნენ, ბაქოს სტადიონს კი დროთა განმავლობაში ბახრამოვის სახელი ეწოდა (1967 წელს ფიფამ ოფიციალურად აღიარა, რომ გოლი არ იყო).

**ბოთლების ტყორცნები** არა მარტო რესტორნებსა და პარლამენტებში ხდება. იყო ტრაგიკული შემთხვევა სსრკ-ის ჩემპიონატის დროს ბაქოში ("ნეფთჩი"-"დინამო" კიევი 1:1) რეფერი **ბარაშკოვისთვის** გათვალისწინებული ბოთლი, რომელიც ტრიბუნებიდან ისროლეს, ერთ უბედურ გულშემატკივარს მოხვდა თავში და მოკლა.

**წითელ-ყვითელი ბარათების ავტორი** ინგლისელი რეფერი **კენასტორი** გახლავთ. ერთხელ მან შუქნიშანს შეხედა და ამის შემდეგ მსაჯების ჯიბეში გაჩნდა ფერადი ბარათების კომპლექტი. პირველი "ყვითელი" 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე დაიმსახურა რუსმა **ევგენი ლოვჩევმა,** პირველობის გახსნის მატჩზე, რომელიც, სხვათა შორის, ქართველმა **გივი ნოდიამ** მარცხენა ფეხის დარტყმით გახსნა.

**მწვანე ფერის ბარათი** მსაჯების კომპლექტში არ შედის, თუმცა ჰელსინკიში, საფეხბურთო ფესტივალის მსვლელობისას, მწვანე ბარათებით აღნიშნავდნენ ყველაზე კორექტულ მოთამაშეებს. ბრაზილიაში სცადეს ცისფერი ბარათების დანერგვა, როგორც "წინასაგაფრთხილებო" აქცია. ბევრს ეჭვი ეპარება სიახლის პერსპექტიულობაში, რადგანაც მათი აზრით, ვაჟკაცისთვის ცისფერის ჩვენება განსაზღვრულ ქვეტექსტს შეიცავს, რაც მსაჯის მიმართ მაყურებელთა გულისწყრომას გამოიწვევს.

**მსაჯი შკლოვსკი იხსენებს:** ქუთაისი. 70-იანი წლების ბოლო. უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი მატჩი. 40 000 მაყურებელი. წუთი თამაშის დამთავრებამდე. ქუთათურებმა საჯარიმოზე ტაჯიკთა ფორვარდი მოცელეს. თვალები დავხუჭე და დავუსტვინე. პენალტი! დარტყმა და მასპინძელთა მეკარე ბურთს იღებს! შემდეგ წინ უგდებს თავდამსხმელს. ტაჯიკთა გოლკიპერი მოედნის შუაგულში შეყოვნდა, საკუთარი გუნდის პენალტისტის წარმატებასა და უმაღლეს ლიგაში გადასვლას ელოდა. ამასობაში, უმაღლესში მასპინძლები გადავიდნენ, რადგანაც ბურთი გაიტანეს! იმ დღეს რაც ქუთაისში ხდებოდა, "წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა!"

**სსრკ-ის ჩემპიონატებში** ქართველი ფეხბურთელების მატჩებს უკრაინელებთან, რუსებთან, ბელარუსებთან და სხვებთან, არცთუ იშვიათად მსაჯობდნენ "ნეიტრალური" რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებიც ეთნიკურად ჩვენი მოწინააღმდეგეების ეროვნებისა იყვნენ. აი, ის ქართველები კი, რომლებიც რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის სახელით მსაჯობდნენ, არასოდეს სჯიდნენ ქართველების მატჩებს დანარჩენ "მოძმე რესპუბლიკების" გუნდებთან. საინტერესოა, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ქართველი ყველგან ქართველად რჩება.

**1976 წელს** დონეცკის "შახტიორის" ფორვარდმა **ვიტალი სტარუხინმა,** მოსკოვის "სპარტაკის" გულშემატკივარ მსაჯს **ფარდმანს** პაპიროსი "ბელომორკანალი"... შეაჭამა. ეს მოხდა მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში. აბა რა ეგონა უსინდისო ფარდმანს, 2 პენალტს რომ არ ნიშნავდა?!

**უნიკალური** უპრინციპობა გამოიჩინა საბჭოთა არბიტრმა **მიროსლავ სტუპარმა** 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩისას (საფრანგეთი-კუვეიტი). ანგარიშით 3:1 იგებდნენ ფრანგები და **ალენ ჟირესმა** სუფთა ბურთი გაიტანა. სტუპარმა ცენტრისკენ მიუთითა, მაგრამ მოედანზე თავისი ამალის თანხლებით შემოიჭრა საამიროს შეიხი - მეფის ძმა და რეფერის გოლი გააუქმებინა! ასეთი "გაუქმებები" მხოლოდ საბჭოთა კავშირში თუ ხდებოდა მანამდე. მართალია, მოედანზე არც შეიხები და არც პოლიტბიუროს წევრები არ გამორბოდნენ, მაგრამ მსაჯებზე ზემოქმედება სხვა მეთოდებით ხდებოდა, განსაკუთრებით როდესაც საქმე ქართული გუნდების დაჩაგვრას ეხებოდა.

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## კადრები ალექსანდრე ჟღენტის ფილმიდან "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს"



ბათუმის მუზეუმი. ქართული ქეჩის ბურთი ფეხგორგალას სათამაშოდ



ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც ფეხბურთის წესები ჩამოიტანა ლონდონიდან



1937 წელი. თბილისი, დინამოელთა აღლუმი



1946 წელი. თბილისის დინამო-სპარტაკი. თასის ფინალი მოსკოვი 1:2. მეკარე ლეონტიევის ნახტომი

## კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# სერ ალექსი დარწმუნებულია: კრისტიანო რჩება

## მანჩესტერის დამრიგებელი ლისაბონიდან იმედიანად დაბრუნდა, მადრიდელი დირექტორების ერთი ნაწილი პრეზიდენტს ურჩევს: დაივიწყე რონალდო!


სერ ალექს ფერგიუსონი და კრისტიანო რონალდო

სერ ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ კრისტიანო რონალდო არ გაიყიდება. მწვრთნელმა მორიგი განცხადება ლისაბონიდან დაბრუნების შემდეგ გააკეთა. პორტუგალიის დედაქალაქში ის ფეხბურთელს შეხვდა და დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ესაუბრა. ფერგი ახლა უფრო თავდაჯერებული ჩანდა, ვიდრე ადრე: *„შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა. ორივემ ჩვენი პოზიციები დავაფიქსირეთ. მე მას ვუთხარი, თუ რა ინტერესი გვაქვს. მან მითხრა, თუ რა აღელვებს. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ის მანჩესტერში დარჩება. კრისტიანო მომავალ სეზონს "იუნაიტედში" გაატარებს."*

კრისტიანოს მომავალი გაუთავებელი სპეკულაციების საგანია. სერ ალექსს იმედი აქვს, რომ მისი განცხადება ყოველგვარ მითქმა-მოთქმას დაუსვამს წერტილს. გუნდმა ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო. ფერგის სურს, მისმა შეგირდებმა მშვიდ ვითარებაში ივარჯიშონ, მაგრამ სატრანსფერო ციებ-ცხელების გამო, ამის მიღწევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. იმის მიუხედავად, "იუნაიტედში" დარჩება, თუ "რეალს" მიაშურებს, რონალდოს სამთვიანი შვებულება გარანტირებული აქვს. მან კოჭის ოპერაცია გაიკეთა და ისვენებს.

კრისტიანოს საკითხს ესპანური მედია ფართოდ აშუქებს. „ელ მუნდო დეპორტივო" ვარაუდობს, რომ სამეფო კლუბს ხმაურიანი ტრანსფერის გასაჩარხად ათეულობით მილიონი ევროს სესხება დასჭირდება, რაც მის საბიუჯეტო დეფიციტს კიდევ უფრო გაზრდის. "რეალი", შეიძლება, ფინანსურ კრიზისშიც კი აღმოჩნდესო, წერს პოპულარული ესპანური ტაბლოიდი.

**ფლორენტინო პერესის** პრეზიდენტობისას მადრიდელებმა ერთი კრიზისი წარმატებით დაძლიეს. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა გალაქტიკოების პოლიტიკით გუნდის ასტრონომიული ვალები მთლიანად გაისტუმრა. მისმა მემკვიდრემ, **რამონ კალდერონმა** პერესის წარმატებული კურსი ველარ გააგრძელა. "ელ მუნდო დეპორტივოს" მტკიცებით, ამ წუთისათვის კლუბის ვალი 100 მილიონ ევროს აღემატება, მადრიდელთა საბანკო ანგარიშზე კი მხოლოდ 25 მილიონია. კრისტიანო რონალდოს შესაძენად დაახლოებით 70 მილიონი ევროა საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ „რეალმა" მთელი თანხა უნდი ისესხოს.

მადრიდელი დირექტორების ერთი ნაწილი პრეზიდენტს ურჩევს, დაივიწყოს პორტუგალიელი ვარსკვლავი და უფრო რეალურ გეგმებზე იფიქროს. მაგრამ სენიორ კალდერონი გულშემატკივრებს დიდი ამბით შეპირდა კრისტიანოს შეძენას. ის პატივმოყვარე ადამიანია და განზრახვაზე ასე ადვილად ხელს ვერ აიღებს.

ბლექბერნი

# ბენტლი არ იყიდება

## ტოტენჰემმა ვარდებს სასაცილო წინადადებით მიმართა



დევიდ ბენტლი

"ტოტენჰემმა" "ბლექბერნთან" მოლაპარაკებები წამოიწყო. ლონდონელთა თავკაც **ხუანდე რამოსს დევიდ ბენტლის** შეძენა სურს. მან "ვარდებს" 9 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ბლექბერნელებმა მისი წინადადება დაუყოვნებლივ უარყვეს. რამოსის შეთავაზებამ ინგლისში ბევრი მიმომხილველი გააკვირვა. "ტოტენჰემს" ბენტლის გამო ატეხილ სატრანსფერო ომში ფავორიტად მიიჩნევდნენ. რამოსის წინადადებას გაფაციცებით ელოდნენ. მან ყველას იმედი გაუცრუა. თავად განსაჯეთ - "ტოტენჰემმა" "ბლექბერნს" "ასტონ ვილაზე" ერთი მილიონით ნაკლები თანხა შესთავაზა. ბირმინგემელები "ვარდებს" დაახლოებით ერთი თვის წინ შეეხმიანნენ და მათაც უარი მიიღეს. "ბლექბერნმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვანქა მოითხოვა. სენიორ რამოსს ეს კარგად უნდა სცოდნოდა და თუ იცოდა, მაშ, რისი იმედი ჰქონდაო, კითხულობენ გაკვირვებული ჟურნალისტები. "მამლების" შეთავაზება ბლექბერნში სასაცილოდ არ ეყოთ. იმის გარდა, რომ მათ მოთხოვნილი თანხის ლამის ნახევარი შეაძლიეს, კიდევ ერთი აღმაშფოთებელი წინადადება წამოაყენეს - ამ ცხრა მილიონს ოთხი წლის განმავლობაში გადავიხდითო.

"ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელი **პოლ ინსი** ამბობს, რომ თუ ბენტლის სანაცვლოდ საარაკო შეთავაზებას არ მივიღებთ - ისეთს, რომელზეც უარის თქმა გაგვიჭირდება, ფეხბურთელი ჩვენთან დარჩება. დარწმუნებული ვარ, ის მომდევნო ერთი წლის განმავლობაში კიდევ მოუმატებსო. კლუბის თავმჯდომარე **ჯონ უილიამსი** ინსს კვერს უკრავს: *"ბენტლის გაყიდვის წინადადებით, ჩვენს კლუბს სამჯერ მომართეს. პირველად მაშინ, როდესაც მთავარი მწვრთნელი მარკ ჰიუზი იყო. სხვათა შორის, საკმაოდ სარფიან გარიგებას გვთავაზობდნენ. მომდევნო ორი წინადადება წელს მივიღეთ, მაგრამ სამივე შეთავაზებაზე თავაზიანი უარი განვაცხადეთ."* "ტოტენჰემი" ბენტლის ხელში ჩაგდების იმედს არ კარგავს. კლუბთან დაახლოებული წყარო იუწყება, ეს მხოლოდ პირველი შეთავაზება იყო. თანხა, რა თქმა უნდა, გაიზრდება, თუმცაღა "მამლებს" იმედი აქვთ, რომ მთლად 17 მილიონის გადახდა არ მოუწევთო. ბენტლის ლონდონში გადასვლა სურს. მან კლუბს ტრანსფერში ხელის შეწყობა სთხოვა.

აქვე სხვა ტრანსფერების შესახებაც მოგახსენებთ. "ბლექბერნმა" "ასტონ ვილაში" გაყიდა ამერიკელი მეკარე **ბრედ ფრიდელი**. ფრიდელის გადაწყვეტილება სამსახურის შეცვლის შესახებ, მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდა, როდესაც ინგლისურმა სააგენტოებმა ფრიდელის ბირმინგემული კონტრაქტის დეტალები გამოამზეურეს. "ვილამ" ფრიდელს ხელფასი ორჯერ გაუზარდა და კვირაში 60 ათასი გირვანქა დაუნიშნა. "ბლექბერნი" მის შემცვლელად ტოტენჰემელი **პოლ რობინსონის** შეძენას ცდილობს. "ვარდებმა" უარით გაისტუმრეს "ნიუკასლი", რომელსაც **სტივ უორნოკის** შეძენა 2 მილიონ გირვანქად სურდა. აგრეთვე "პანათინაიკოსი", რომელიც **ანდრე ოოიერს** ეპატიჟებოდა.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ჰარგრივსი ისევ დაშავდა

## ეშმაკები აფრიკულ შეკრებაზე ინგლისელი ნახევარმცველის გარეშე გაემგზავრნენ

**ოუენ ჰარგრივსი** ისევ დაშავებულია. 27 წლის ნახევარმცველი „მანჩესტერ იუნაიტედს" სამხრეთაფრიკულ შეკრებაში ვერ გაჰყვა. მიმომხილველები შიშობენ, რომ მას ახალ სეზონშიც ბევრი თამაში გაუცდება. ჰარგრივსი მანჩესტერში გასულ ზაფხულს, „ბაიერნიდან" გადავიდა. ინგლისელებმა 17 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. მუხლის მძიმე ტრავმის გამო ოუენმა პრემიერლიგაში მხოლოდ 16-ჯერ ითამაშა. მას ამჯერადაც ძველმა პრობლემებმა შეახსენა თავი.

**სერ ალექს ფერგიუსონმა** წუხილი ვერ დამალა, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ ფეხბურთელი უმოკლეს დროში გამოჯანმრთელდება: *"მისი დაბრუნებისთანავე ცხადი იყო, რომ მტკივანი მუხლი ვარჯიშის საშუალებას არ მისცემდა. ექიმმა ნემსები დაუნიშნა. გასული წლის ნოემბერში, როდესაც ოუენს ანალოგიური პრობლემა ჰქონდა, ასე ვუმკურნალეთ და გაამართლა. იმედია, ჩვენი დაბრუნებისას, ის უკეთ იქნება. ტრავმა არ არის ისეთი სერიოზული, რომ პრემიერლიგის პირველი ტურები გამოტოვოს, თუმცა ვნახოთ, როგორ წარიმართება მკურნალობა."*

ფერგის ოპტიმიზმის მიუხედავად, ძველი ტრავმის რეციდივი ჰარგრივსისათვის სერიოზული თავსატეხია. მის გარდა, სამხრეთ აფრიკაში არც ის ფეხბურთელები წასულან, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშეს. მანჩესტერში დარჩა და მკურნალობს **ლუის საჰა**, რომელსაც ჰარგრივსისა არ იყოს, მუხლის ტრავმა აწუხებს. "იუნაიტედი" სამხრეთაფრიკული ტურნესას სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. პირველი შეხვედრა "კაიზერ ჩიფსთან" დღეს შედგება. თამაშს ქეიფ თაუნი უმასპინძლებს.

იტალიური ტრანსფერები

# ჟიულიმ პარიზს მიაშურა

## ლაციომ მათუსალემი დაიმატა და ძაური გაუშვა

გუშინ საღამოს იტალიაში რამდენიმე ტრანსფერი განხორციელდა. "ლაციომ" სარაგოსელი ნახევარმცველი **ფრანსელინო მათუსალემი** გადაიბირა. რომაელებმა ფეხბურთელს ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გაუფორმეს. მათუსალემი იტალიაში ოთხწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა. მას "ნაპოლიში", "პარმაში", "პიაჩენცასა" და "ბრეშაში" უთამაშია. 2004 წელს მათუსალემმა დონეცკის "შახტარს" მიაშურა. 2007 წელს "სარაგოსაში" გადავიდა, მაგრამ ამ კლუბის გავარდნის შემდეგ, "ლაციოში" ამოჰყო თავი.

"ლაციომ" "ფიორენტინაში" გაყიდა ცენტრალური მცველი **ლუჩანო ძაური**. ფლორენციელებმა მის სანაცვლოდ 2.4 მილიონი ევრო გადაიხადეს. გასულ სეზონში ძაური გუნდის კაპიტანი იყო. დაცვის ცენტრის გარდა, მას საყრდენ ნახევარმცველადაც უთამაშია. როდესაც 30 წლის ფეხბურთელმა შეიტყო, რომ ფლორენციაში ეპატიჟებოდნენ, მაშინვე ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. მას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება მიეცა და არ სურდა, ამ შანსზე უარი ეთქვა. სხვათა შორის, კლუბები შეთანხმდნენ, რომ გაისად "ლაციოს" მიეცემა საშუალება, ფეხბურთელი იმავე ფასად, 2.4 მილიონ ევროდ გამოისყიდოს.

მეორე დედაქალაქურმა კლუბმა "რომამ" **ლუდოვიკ ჟიული** "პარი სენ ჟერმენს" მიჰყიდა. ფრანგებმა იტალიელებს 2 მილიონი ევრო მიუთვალეს. ჟიული "ჯალოროსიში" გასულ ზაფხულს, "ბარსელონიდან" გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. მან სასტარტოში მხოლოდ 17-ჯერ ითამაშა, კიდევ 15-ჯერ ის შეცვლაზე შეიყვანეს. ლუდოვიკმა სერია A-ში ექვსი გოლი გაიტანა, ამას გარდა, კიდევ ერთი გოლი ჩემპიონთა ლიგაში შეაგდო.



ლუდოვიკ ჟიული

### დროგბა განმარტებებს ითხოვს

**დიდიე დროგბამ** "ჩელსისაგან" ახსნა-განმარტებები მოითხოვა. კოტდივუარელ თავდამსხმელს აინტერესებს, რატომ თქვეს უარი "არისტოკრატებმა" ბარსელონის წინადადებაზე. კატალონიელებმა ლონდონელებს დროგბასა და **სამუელ ეტოოს** გაცვლა შესთავაზეს. "ჩელსის" თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ამ წინადადების განხილვაც კი არ ისურვა. დროგბას საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. ფეხბურთელი ტრანსფერზე დაყენებას ითხოვდა. სკოლარის დანიშვნის შემდეგ, მან პოზიცია შეარბილა, მაგრამ გუშინ მორიგი პრეტენზიებით გამოვიდა. დროგბას ლონდონურ კონტრაქტში 3 წელი აქვს დარჩენილი. მას მუხლი აწუხებს და ჯერჯერობით ვარჯიშის განახლება ვერ მოახერხა. დროგბას ახალი სეზონის პირველი მატჩების გამოტოვება ემუქრება. ამის მიუხედავად, "ბარსა" მზად იყო, ფეხბურთელისათვის ოთხწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა და მისთვის კვირაში 130 ათასი გირვანქა გადაეხადა. დროგბას დღევანდელი ანაზღაურება კვირაში 85 ათას გირვანქას შეადგენს. რამდენიმე დღის წინ სკოლარიმ დიდიეს ახალი ხელშეკრულება და 130 ათასი გირვანქა შესთავაზა.

### მანჩინი მოსკოვშია

**რუსული** სააგენტოების ცნობით, მოსკოვის ცსკა-მ მთავარი მწვრთნელის პოსტი "ინტერის" ყოფილ დამრიგებელ **რობერტო მანჩინის** შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ მანჩინი მოსკოვში იმყოფება. მისი სტუმრობის ოფიციალური მიზეზია ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის მასტერ-კლასის ჩატარება. თუმცაღა სპეკულაციების თანახმად, არმიელები მწვრთნელს სწორედ ამ ვიზიტისას შეხვდებიან და სარფიან კონტრაქტს შესთავაზებენ. ინტერნეტ-გამოცემა "ტვოი დენ" იუწყება, რომ ცსკა-ს პრეზიდენტი **ევგენი გინერი** მანჩინის ერთი კვირის წინ ესაუბრა. იტალიელი სპეციალისტი გინერთან შეხვედრას სიამოვნებით დათანხმდა. სპეკულაციების თანახმად, არმიელები მზად არიან, მანჩინის სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზონ და წელიწადში 1.8 მილიონი ევრო გადაუხადონ. შედარებისათვის, "ინტერში" მანჩინის ანაზღაურება 4.5 მილიონი ევრო გახლდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდინიოს პრეზენტაცია

# ახდენილი ოცნება

ხუთშაბათს, "მილანმა" **რონალდინიოს** გრანდიოზული პრეზენტაცია მოუწყო. ეს იყო სუპერპომპეზური წარმოდგენა, რომლის მსგავსიც რაღაც არ გვაგონდება. "სან სიროზე" 45 ათასამდე ტიფოზმა მოიყარა თავი. მანამდე, გაუჩომ კონტრაქტი გააფორმა და **ადრიანო გალიანის** თანდასწრებით მცირე პრესკონფერენციაც გამართა:

*"ეს ჩემი კარიერის განსაკუთრებული მომენტია. არ არსებობს ფეხბურთელი, "მილანში" თამაშზე არ ოცნებობდეს და დღეს ეს ოცნება მეც ამიხდა. ეს არის უნიკალური ემოცია, როცა ამდენ ბედნიერ გულშემატკივარს ხედავ... "ბარსელონაში" შესანიშნავი პერიოდი გავატარე, იქ უამრავი ჯილდო მოვიგე... მაგრამ ბოლო ორმა სეზონმა მეც და "ბარსასაც" იმედგაცრუება მოგვიტანა და ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება იყო, რომ ერთმანეთს დავშორდით. საოცარი იქნება კაკას გვერდით თამაში. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ამავე დროს, ის ჩემი მეგობარიცაა და ერთად გვითამაშია ბრაზილიის ნაკრებში".*

შემდეგ, რონალდინიო ფიზიკურ კონდიციებს შეეხო. ალბათ, ცოტა ნაიტრაბახა კიდეც, როცა თქვა - კარგ ფორმაში ვარო: *"კარგ ფიზიკურ კონდიციებში ვარ. შემიძლია, სეზონში 40-45 მატჩი ჩავატარო და ეს ნამდვილად არ არის გადაჭარბებით ნათქვამი".*

როგორც იცით, "მილანმა", **კაკასგან** განსხვავებით, რონალდინიოს უფლება მისცა, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე ითამაშოს: *"ბრაზილიას ოლიმპიური ოქრო არასოდეს მოუგია. ამიტომ, ჩემთვის ეს ტურნირი უმნიშვნელოვანესია. "მილანთან" ამაზე უკვე შეთანხმებული ვარ".*

რონალდინიოს ტრანსფერით "მილანის" ფანები არნახულ ეიფორიაში არიან. უკვე ვწერდით, რომ პირველივე დღეს, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, "როსონერიმ" 3 ათასი სეზონური აბონემენტი გაყიდა:

*"მინდა, ტიფოზებს მადლობა გადავუხადო. ეს ჩემთვის დამატებითი სტიმულია იმისთვის, რომ ამ სიყვარულს საკადრისი პასუხი გავცე. სერია A მსოფლიოს უძლიერეს ლიგებს შორისაა და აქ თამაში უდიდესი გამოწვევაა. იტალიაში გამარჯვებებისთვის ჩამოვედი. ახლა, უფრო დაბრძენებული და გამოცდილი ვარ, თუმც ჩემი ასაკი ფეხბურთისთვის ახალგაზრდულია და მზად ვარ, მოედანზე ყველაფერი დავდო".*

**გიორგი ბელაშვილი**




ინტერვიუ ჯენარო გატუზოსთან

# რინო რონის ჭკუაზე მოიყვანს!

## ბაიერნამდე ძალიან ცოტა დამაკლდა...

**შაბათს, ჯენარო გატუზომ მიუნხენში ჩატარებულ საქველმოქმედო მატჩში (Goal4Africa) იასპარეზა. მატჩის შემდეგ მას ჩვენი გერმანელი კოლეგები გაესაუბრნენ. გთავაზობთ ინტერვიუს, სადაც 30 წლის იტალიელი საყრდენი ნახევარმცველი სხვა არაერთი საინტერესო საკითხის გარდა, "ბაიერნში" არგადასვლის მიზეზებზეც საუბრობს.**

**- ეს შეხვედრა 60-ზე მეტ ქვეყანაში გადაიცემოდა. როგორ შეაფასებდით კლარენს ზეედორფისა და ორგანიზაცია Goal4Africa-ს მუშაობას?**

- კლარენსი ამ საქმეს წარმოუდგენელი მონდომებით მიუდგა და როგორც ხედავთ, ყველაფერი იდეალურად გამოუვიდა. განა ბევრი ასეთი ადამიანი არსებობს? ვამაყობ იმით, რომ მიუნხენში ჩამოსვლისა და ამ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების საშუალება მომეცა. ნებისმიერი ჩვენგანის მიზანი უნდა იყოს ის, რომ აფრიკელ ბავშვებს განათლების მიღებაში დავეხმაროთ, რათა ისინი აღარ იყვნენ ღარიბები.

**- თქვენი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მიხაელ შუმახერი იყო. პენსიონერის კვალობაზე კარგად ირბინა, არა?**

- დიახ, დიახ, ფეხბურთის თამაში კარგად შესძლებია. მის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან სასიამოვნო ყოფილა, რადგან მოედანზე დაუნდობელია და ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. შუმი არცერთ ორთაბრძოლას არ გაურბის. მოკლედ, სათამაშო სტილით მგავს და ეს ძალიან მომეწონა.

**- ცოტა ხნის წინათ სერიოზულად მიდიოდა საუბრები იმის შესახებ, რომ "მილანიდან" "ბაიერნში" გადადიოდით. მეტიც, თქვენი ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მერე, მოულოდნელად, "როსონერისთან" ახალ კონტრაქტს მოაწერეთ ხელი...**

- "მილანში" 10 წელი შესანიშნავი გავატარე და "ჩაოს" ასე იოლად ვერ ვიტყოდი. 10-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ გუნდის დატოვება მარტივი გადასაწყვეტი არ არის. გასულ სეზონში "მილანს" საქმეები ძალიან ცუდად წაუვიდა, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა. სწორედ ამის გამო, თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ "როსონერი" მძიმე პერიოდში არ მიმეტოვებინა.

**- მაგრამ თვითონვე ამბობდით, რომ "ბაიერნში" გადასვლის წინააღმდეგი არ იყავით...**

- რომ გითხრათ, არა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. დიახ, მიუნხენში წასვლაზე მართლა სერიოზულად ვფიქრობდი. ვესაუბრე კლუბის შეფებს, ჩემს უახლოეს მეგობრებს კი რჩევებს ვეკითხებოდი. მერე უცებ მივხვდი და გამახსენდა, რამდენი რამ მაკავშირებს "მილანთან". ყველამ მითხრა, უმჯობესია, აქ დარჩეო. "ბაიერნში" რომ გადავსულიყავი, ოჯახის წევრები და მეგობრები დამიპირისპირდებოდნენ.

**- კი მაგრამ, "ბაიერნის" თავდამსხმელი ლუკა ტონიც თქვენი მეგობარი არ არის?**

- დიახ, თანაც, ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. სწორედ ლუკა მიკიჟინებდა ყველაზე მეტად, მიუნხენში წამოდიო. მიყვებოდა, თუ რა ლამაზია ბავარია, მიუნხენი და საერთოდ, გერმანია. ძალიან უნდოდა, რომ დავერწმუნებინე, მაგრამ მე მაინც სხვანაირი გადაწყვეტილება მივიღე.

**- "ბაიერნი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს, "მილანი" კი არა...**

- "მილანს" უეფას თასი არასდროს მოუგია და დროა, ეს ტიტულიც მოიპოვოს. თუმცა პირველ ადგილზე მაინც იტალიის ჩემპიონობას დავაყენებთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ "როსონერიმ" სერია A მოიგოს. რაც არ უნდა იყოს, ბოლო სკუდეტო 4 წლის წინათ გვაქვს მოგებული.

**- რონალდინიო "მილანში" გადმოვიდა...**

- მივესალმები! არა მგონია, ფეხბურთის თამაში 8 თვეში დავიწყებოდა...

**- მაგრამ ბოლო დროს სულ სკანდალებშია. მილანში ღამის ცხოვრება დუღს და როგორ ფიქრობთ, რონალდინიო დამჯერი ბიჭი იქნება?**

- თუ ძალიან გაჯიუტდა, ჩემს მშობლიურ მხარეში, კალაბრიაში წავიყვან და იქ მოვიყვან ჭკუაზე. უფრო სწორად, კალაბრიელები მოიყვანენ ჭკუაზე (იცინის). მე ყურადღებას არ მივაქცევ, რადგან ყურადღებას მხოლოდ შვილებს ვაქცევ ხოლმე...

**გოტფრიდ ლენცი**



ჯენარო გატუზო: რონალდინიო მე მომანდეთ

სერია A. სანქციები

# ერთი თვით ტრანსფერები აკრძალულია

## იუვესა და ჯენოას ცოტა უთაღლითიათ...



ალესიო სეკო

აბა, **ლუჩანო მოჯის** შემდეგ სეკოს მუშაობა რომ არ მოგეწონება, რა გასაკვირია. ამ ახალგაზრდა კაცს, გარდა იმისა, რომ არაეფექტურად საქმიანობს, ახლა ამ საქმიანობასაც უკრძალავენ, თუმც მხოლოდ ერთი თვით. საქმე ეხება "ჯენოას" მცველ **დომენიკო კრიშიტოს** ტურინულ ტრანსფერს, რომლის დროსაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დარღვევები აღმოაჩინა. სეკოს ერთი თვით აეკრძალება ტრანსფერების განხორციელება. მასთან ერთად, დარღვევებში მხილებულია "იუვენტუსის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და კლუბის ლეგენდა **რობერტო ბეტეგაც**.

ორჯერ მეტი ვადითაა დისკვალიფიცირებული "ჯენოას" პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი**, ხოლო ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ჯამბატისტა პასტორელო** და გენერალური მენეჯერი **ალესანდრო ძარბანო** 15-15 დღით დაისაჯნენ. კლუბები ვერც ფინანსურ სანქციებს ასცდნენ: "იუვენტუსი" 10 ათასი ევროთი გაღარიბდება, "ჯენოა" კი ფედერაციის ყულაბაში 5 ათასით მეტს შეიტანს.

არ დაიბნეთ და, გლობალური აკრძალვა არ გეგონოთ. საქმე რამდენიმე კაცს ეხება. ერთ-ერთი მათგანი "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკოა**. ის ერთი თვის განმავლობაში იქნება ჩამოშორებული საქმიანობას, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, კარგად ვერ აკეთებს. ეს ჩვენი აზრით არ გეგონოთ, ასე ფიქრობენ ტურინული გრანდის ტიფოზები. უბრალო მაგალითი: სინიორ სეკოს მიერ გაჩარხული ტრანსფერებით, "იუვენტუსმა" გასულ სეზონში 27 მილიონი ევრო იზარალა. საქმე ეხება **ჟან-ალენ ბუმსონგის, სერხიო ალმირონისა** და **ტიაგო მენდეშის** ტრანსფერებს. ალბათ, შეხსენება არ გჭირდებათ, რომ ბუმსონგი "ლიონში" წავიდა, ალმირონი "მონაკოში" გაანათხოვრეს და უკან დაბრუნებულს კვლავ არენდით გაშვებას უპირებენ, ტიაგო კი ჯერჯერობით "იუვენტუსშია", თუმც ძირითადში ადგილი დღემდე ვერ მოძებნა. ამას გარდა, სეკო მკაცრად გააკრიტიკეს **ჯორჯო კიელინის** "მანჩესტერ სიტიში" გაყიდვის მცდელობისთვის...

### ქულების დაკლებაც და სამნახევარი წელიწადიც

"ლივორნოსა" და "ატალანტას" შორის გასულ სეზონში გამართული მატჩები (1:1 ლივორნოში, 3:2 ბერგამოში) ეჭვის ქვეშაა. ამაზე უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ კაპიტნებს, ლივორნოელ **დავიდე ბალერისა** და ბერგამოელ **ჯანპაოლო ბელინის** ამ ორი თამაშის ჩაწყობა ედებათ ბრალად. ამას გარდა, **ემანუელე** და **ანტონიო ფილიპინები**, ასევე **ალესანდრო გრანდონი**, საქმის კურსში ყოფილან, მაგრამ პოლიციასთან არ უთანამშრომლიათ და, შესაბამისად, სანქციები არც მათ ასცდებათ.

ფედერალური პროკურორი **სტეფანო პალაცო** ბალერისა და ბელინისთვის სამწლინახევრიან დისკვალიფიკაციას, ხოლო კლუბებისთვის 6-6 ქულის დაკლებას ითხოვს. მოკვლევა კი გრძელდება, რადგან ბატონი პროკურორი არ გამორიცხავს, რომ ამ ორმა მატჩმა გამოძიება სხვა კვალზე გაიყვანოს.

**გიორგი ბელაშვილი**



მორატი და მოურინიო ლემპარდს ელოდებიან

ინტერი

# მორატი ლემპარდის იმედს კარგავს

## საჭიროა ალტერნატივა. ინტერი ლუჩო გონსალესს აკვირდებაო. აკვილანი? რომაელ მცველს საკონტრაქტო პრობლემა აქვს

მართალია, **ფრენკ ლემპარდი** "ინტერის" მთავარ საზაფხულო სამიზნედ რჩება, მაგრამ საქმეში პროგრესი არ ჩანს. შევიდეთ **მასიმო მორატის** მდგომარეობაში. "ნერაძურის" მოსისხლე მტერმა, ორიოდ დღით უკან, თვით **რონალდინიო** იყიდა, ის რონალდინიო, რომელსაც თვეების წინათ თავად უპირებდა გადაბირებას და საამისოდ, საქმეში სპორტული ეკიპირების გიგანტი "ნაიკიც" კი ჩართო. ესეც რომ არ ყოფილიყო, ფაქტია, "მილანმა" ხმაურიანი ტრანსფერი უკვე გაჩარხა და მორატისთვის ეს საკმარისი საბაბია, რომ გაღიზიანებული და შეშფოთებული იყოს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ის ყველა ღონეს იხმარს "ჩელსის" მოსარჯულებლად. თუკი დღეს 10 მილიონ ევროს იძლევა, ხვალ 15-ს ჩამოვა. ამ დროს კი "არისტოკრატებმა" თამასა 20 მილიონზე ასწიეს...

დრო კი გადის. "ინტერი" უკვე შეუდგა ვარჯიშს. **ჟოზე მოურინიო** მოუთმენლად ელის ახალ ნახევარმცველს. ის არ ასახელებს ამ ნახევარმცველის ვინაობას, თუმც ყველამ იცის, რომ ეს ლემპარდია. და რაკი დრო მართლაც აღარ ითმენს, აპიანო ჯენტილეში უკვე ალტერნატივაზეც ფიქრობენ. მორატის კომენტარი "გაძეტა დელო სპორტისთვის":

*"ამ სიტუაციაში, ლოდინის გარდა, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია. ფეხბურთელმა საჯაროდ უნდა დააფიქსიროს თავისი სურვილი, რომ "ინტერში" თამაში უნდა. ამას გარდა, შემხვედრი ნაბიჯი უნდა გადმოდგას "ჩელსიმაც", მაგრამ მთავარი მაინც ლემპარდის პოზიციაა. დიახ, ჩვენ ველოდებით მას, მაგრამ უსასრულოდ ლოდინსაც არ ვაპირებთ. ვიცით, რომ ფრენკიც რთულ მდგომარეობაშია. მას ორი ვარიანტი აქვს: ის ან მოდის "ინტერში", ან ლონდონში რჩება. ორივე ეს ვარიანტი ფრიად მომხიბლავია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, ახლო მომავალში რაღაც გადაწყვეტილება მივიღოთ".*

იქვე, მორატი არ მალავს, რომ "ნერაძური" აქტიურად ეძებს სხვა ვარიანტსაც: *"დიახ, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, ლემპარდი პრიორიტეტია, მაგრამ იმ სიტუაციაში, რომელშიც აღმოვჩნდით, სხვაგანაც უნდა გავიხედოთ. ისე, ადვილი ნამდვილად არ არის შესაფერისი ალტერნატივის გამონახვა, რადგან "ინტერში" მხოლოდ მაღალი რანგის ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ. ისეთი მოთამაშე უნდა მოვძებნოთ, რომელიც მოურინიოს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და ჰარმონიასაც არ დაარღვევს. ამ საკითხზე, მწვრთნელთან სისტემატური კონსულტაციები გვაქვს. მიზანი ნათელია: პირველ რიგში, ვიბრძვით ლემპარდისთვის, მაგრამ თუ საქმე არ გამოვიდა, უნდა ავიყვანოთ ფეხბურთელი, რომელიც ძალიან ჰგავს ლემპარდს".*

ვინ შეიძლება იყოს ეს ყბადაღებული ალტერნატივა? იტალიურ წყაროებს თუ დავუჯერებთ, "ინტერი" **ლუჩო გონსალესს** აკვირდება. არგენტინელი ფორვარდი "პორტუს" ღირსებას იცავს. 27 წლის გონსალესი, რომელიც "კომანდორის" მეტსახელითაცაა ცნობილი, პასის დიდოსტატი და ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელია. მაგრამ რამდენად ახლოსაა ის ლემპარდთან, ამის თქმა გაგვიჭირდება. მისი ტრანსფერი 10 მილიონ გირვანქადაა შეფასებული, მაგრამ, როგორც ამბობენ, "ინტერს" ამ გარიგების მოკვარახჭინება 7 მილიონადაც შეუძლია.

"ტუტოსპორტის" ინფორმაციით კი, ჩემპიონის სიაში რომაელი **ალბერტო აკვილანიცაა**. ნიჭიერ ნახევარმცველს "რომასთან" კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულში უმთავრდება, თუმც ხელშეკრულების გაგრძელება არ გამოდის. სიტუაცია ჩიხშია შესული და დიდი შანსია, აკვილანის "ჯალოროსისთან" გამოთხოვებაც მოუნიოს. ჯამაგირის სახით, ფეხბურთელი წელიწადში 2.5 მილიონ ევროს ითხოვს, მაშინ, როცა კლუბი მხოლოდ 1.6 მილიონის გადახდაზეა ყაბულს. რამდენად მართალია, ვერ გეტყვით, მაგრამ სხვადასხვა წყაროების ცნობით, "რეალი", "არსენალი", "იუვენტუსი" და "ინტერი" აკვილანის წლიურად 3 მილიონ ევროს ჰპირდებიან. "ტუტოსპორტი" გვარწმუნებს, რომ ნიჭიერი ნახევარმცველისთვის ყველაზე მეტად "ინტერი" აქტიურობს და შესაბამისად, ტრანსფერის ალბათობაც საკმაოდ დიდია.

ცნობილი ამბავია, რომ მოურინიოს ძალიან მოსწონს "ნაპოლის" სლოვაკი ნახევარმცველი **მარეკ ჰამშიკიც**. "ინტერმა" კამპანიელებს შესაბამისი წინადადებაც შეუთვალა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო, სხვათა შორის, ფეხბურთელისგან და არა კლუბისგან - "ნაპოლიშიც" ძალიან ბედნიერი ვარო, ასე უპასუხა ჰამშიკმა მოურინიოს.

**გიორგი გელაშვილი**

ინტერვიუ ვისენტე დელ ბოსკესთან

# ნაკრებს რეალივით ავათამაშებ

**ვისენტე დელ ბოსკე გონსალესი**, ეს არის კაცი, რომელმაც ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ჩაიბარა. ევრო 2008-ზე მიღწეული წარმატების გათვალისწინებით, დელ ბოსკესგან მხოლოდ უფრო დიდ გამარჯვებას მოითხოვენ. უფრო დიდი კი, რა თქმა უნდა, 2010 წლის მუნდიალზე გამარჯვებაა. ამ ამოცანის სირთულეს შეიძლება ბევრი სპეციალისტი დაეფრთხო, მაგრამ სენიორ ვისენტე მშიშარა და უკანდამხევი არასოდეს ყოფილა. ესპანელები ახლა ერთხმად აღნიშნავენ, რომ დელ ბოსკე "სელექსიონისთვის" იდეალური არჩევანი იყო. პირენეელები ლამაზი ფეხბურთის ეშხში შევიდნენ, ახალი მწვრთნელი კი სწორედ ლამაზი თამაშის მოყვარულია. ყველას გვახსოვს, რა სასწაულებს სჩადიოდა მისი "რეალი". ვრცლად რომ არ გავაგრძელოთ, ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნას გულშემატკივრები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ესპანეთის ეროვნული გუნდის დამრიგებელი აცხადებს, რომ ნაკრების კარი ყველასთვის ღია იქნება, მათ შორის, ლუის არაგონესის მიერ ათვალწუნებული რაულ გონსალეს ბლანკოსთვისაც. თუმცა "სელექსიონში" თამაშის პრეტენზიის მქონე ნებისმიერმა ფეხბურთელმა მწვრთნელს ყოველდღე უნდა დაუმტკიცოს, რომ ის საუკეთესოთა შორის საუკეთესოა. ვინც ამას ვერ შეძლებს, ნაკრების მისამართი უნდა დაივიწყოს. გუშინ დელ ბოსკემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის შტაბბინაში მისულ ჟურნალისტთა ბევრ კითხვას უპასუხა.

გილოცავთ ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნას.

- დიდი მადლობა. ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ძალიან გამიმართლა. მე პრივილეგირებული მწვრთნელი ვარ, რადგან ნაკრებში ლუის არაგონესის შემდეგ მოვედი. ჩემი წინამორბედი ლეგენდარულ მწვრთნელთა რიცხვს შეუერთდა. მან ჩვენს ქვეყანას ევროპის თასი მოუტანა. ძალიან ბედნიერი გახლავართ, რომ "სელექსიონი" ჩამაბარეს. ჩემი აზრით, ეროვნულ გუნდში მუშაობა, მწვრთნელისთვის ყველაზე დიდი მიღწევაა. რაც არ უნდა დიდ და ტიტულოვან კლუბში მუშაობდე, ნაკრებს ვერაფერი შეედრება. დანამდვილებით ვიცი, რომ ეროვნულ გუნდში მუშაობაზე აბსოლუტურად ყველა ესპანელი სპეციალისტი ოცნებობს.

**- თქვენი აღფრთოვანების ძალიან კარგად მესმის, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. რადგან ევრო 2008-ზე გამარჯვების შემდეგ მოხვედით, თქვენგან 2010 წლის მუნდიალის ოქროს მედლებს მოითხოვენ.**

- ნაკრების დღევანდელმა შემადგენლობამ გულშემატკივრებს მადა ალუძრა. არაგონესისგან საკმაოდ ახალგაზრდა გუნდი ჩავიბარე. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ "სელექსიონის" შესაძლებლობები ამოუწურავია. მუნდიალზე გამარჯვება გულშემატკივრებმა რომ არ მომთხოვონ, ეს მაინც ჩემი მთავარი მიზანი იქნება. ბევრს არ ეჯერა, რომ არაგონესი და მისი ბიჭები ევროპის ჩემპიონის ტიტულს შენვდებოდნენ, თუმცა მათ ეს შეძლეს და ესპანურ ფეხბურთში სრულიად ახალი ხანა დაიწყეს, დიდი გამარჯვებების ხანა.

**- რას სთავაზობთ ესპანეთის ნაკრებს?**

- იმის გარანტიას, რომ ეროვნულ გუნდში მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელები მოხვდებიან. გარდა ამისა, მწვრთნელის თავგანწირვას, შემართებასა და თავმდაბლობას ვპირდები. თავგანწირვაში ყოველდღიურ დაუღალავ მუშაობას ვგულისხმობ. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომელ ყოველდღიურ მუშაობაზე ლაპარაკობს, როცა ნაკრები წელიწადში სულ რაღაც 7 შეხვედრას ატარებსო, მაგრამ თუ ნაკრების თავკაცი ყოველდღე არ იმუშავებს, საკლუბო თამაშებზე არ ივლის, ფეხბურთელებს ტელეფონით არ დაურეკავს, ან მათ სანახავად სხვადასხვა კლუბის ბაზებზე არ ივლის, ხსენებულ 7 შეხვედრას ძალიან დაბალ დონეზე ჩაატარებს. შესარჩევი მატჩების წინ ნაკრების მწვრთნელს შეკრებისთვის მაქსიმუმ ერთკვირიანი ვადა აქვს. ხშირ შემთხვევაში ეს ვადა 3-4 დღით შემოიფარგლება. თუ მანამდე არ გეცოდინება, ვინ რას წარმოადგენს მცირე დროში ვერაფერს გაარკვევ. შემართებას რაც შეეხება, ამაში ბრძოლისუნარიანობასა და ოპტიმიზმს ვგულისხმობ. პესიმისტი ბრძოლას ვერასოდეს მოიგებს იმიტომ, რომ მას ეჭვები ღრღნის და შემართება აკლია. ყველაზე უცნაურად, ალბათ, თავმდაბლობის პირობის მიცემა ჟღერს, მაგრამ საქმე ამის გარეშეც არ გამოვა. მწვრთნელი თავმდაბალი უნდა იყოს და აღიაროს, რომ ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ, მწვრთნელები კი მათ შესაძლებლობების გამომჟღავნებაში უნდა დაეხმარონ. როგორც კი გუნდის დამრიგებელი საკუთარი პერსონის წინა პლანზე წამოწევას იწყებს, სანახაობრივი ფეხბურთი იქ კვდება. მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ესპანეთის ნაკრებმა მისთვის დამახასიათებელი სტილი შეინარჩუნოს და კიდევ უფრო მრავალფეროვნად ითამაშოს.

**- ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა გარკვეულ შიშს არ აღგიძრავთ?**

- რას გულისხმობთ?

**- არაგონესმა ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა, მაგრამ მას კონტრაქტი არ გაუხანგრძლივეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ პოსტზე დარჩენის გარანტიას ტიტულების მოპოვებაც არ იძლევა?**

- (იცინის) მომიტევეთ, მაგრამ რასაც თქვენ ამბობთ, ან ხაფანგია, ან პროვოკაცია. თქვენ გგონიათ, დამავიწყდა, რომ არაგონესი არავის გაუგდია? ამას როგორ აკადრებდნენ. სენიორ ლუისმა "სელექსიონი" საკუთარი ნებით დატოვა. გამორიცხულია, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვო, ნაკრებში მუშაობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა და არ დაგტოვონ. ეს მართლა გამორიცხულია. უბრალოდ, არაგონესმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე განაცხადა, რომ ნაკრებს ტოვებდა.

**- გულშემატკივრებს ყველაზე მეტად შემადგენლობის თქვენეული ხედვა აინტერესებთ. ხომ არ გვეტყვით, ნაკრებში სერიოზულ საკადრო ცვლილებებს განახორციელებთ?**

- ესპანეთის ნაკრებში არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს. ერთი შეხედვით, მათ დიდი გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ არავის არაფრით ჩამოუვარდებიან. პირიქით, ჩვენებმა აბსოლუტურად ყველას აჯობეს. ხომ იცით, გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან (იცინის). დღევანდელი გადმოსახედიდან არანაირი საფუძველი არ მაქვს იმისთვის, რომ შემადგენლობის შეცვლაზე ვიფიქრო. თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ სხვა მოთამაშეებისთვის ეროვნული გუნდის კარი დახურულია. ბანალურად ვიტყვი, "სელექსიონში" მხოლოდ საუკეთესოები ითამაშებენ.

**- მეგონა, უფრო კონკრეტულ პასუხს გამცემდით. ვაკონკრეტებ, ხალხს ყველაზე მეტად ის აინტრესებს, ნაკრების 7-ნომრიან მაისურს რომელი ფეხბურთელი მოირგებს.**

- დღესდღეობით, ესპანეთის ნაკრების, ეგრეთ წოდებული, მეშვიდე ნომერი დავიდ ვილიაა. თანაც უკონკურენციოდ. ჩემპიონ გუნდებში გარკვეული იერარქია არსებობს და მე ამ პრინციპს დიდ პატივს ვცემ.

**- ეს როგორ გავიგოთ, რაულს თქვენც არ ათამაშებთ? არც გუტის? ნუთუ, ამ თემასთან დაკავშირებით ისევ დებატები გველის?**

- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დებატებს ვერ გავექცევით. სპორტი და ხელოვნება ფიზიკა ან მათემატიკა არ არის. შეიძლება, პიანისტმა არაჩვეულებრივად დაუკრას, მაგრამ სხვადასხვა სპეციალისტმა სხვადასხვაგვარად შეაფასოს. ან პირიქით, ცუდი კონცერტი ჩაატაროს, თუმცა დარბაზი ტაშით დაინგრეს. ფეხბურთშიც ასეა. ამით იმის თქმა მსურს, რომ სპორტსა და ხელოვნებაში ფორმულები, ან ნორმები არ არსებობს. არაგონესი აცხადებდა, რომ რაულს ვილია ერჩივნა. მას სულელს უწოდებდნენ, თუმცა ამ ზაფხულს ჩვენ ევროპის ჩემპიონები გავხდით. ანუ, არაგონესი მართალი ყოფილა. ახალი შესარჩევი ციკლის დასაწყისში ევრო-2008-ის ბიჭებს გარკვეული პრივილეგია ექნებათ. თუ ისინი ისევ მაღალ დონეზე იასპარეზებენ, შემადგენლობას, რა თქმა უნდა, არ შევცვლი. მიუხედავად ამისა, ნაკრების კარი აბსოლუტურად ყველასთვის ღია იქნება, მთავარია, პროფესიონალი ფეხბურთელი ერქვათ და ჯიბეში ესპანეთის მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობა ედოთ. კანის ფერს, ნაციონალურ წარმომავლობას, რელიგიურ კუთვნილებასა და სექსუალურ ორიენტაციას არანაირ ყურადღებას არ მივაქცევ (იცინის). ამით იმის თქმა მსურს, რომ ნაკრებში მოხვედრის შანსი მართლაც ყველას აქვს. მათ შორის, რა თქმა უნდა, რაულსა და გუტისაც.

**- როგორ ფიქრობთ, რაულის მოსვლით "სელექსიონი" ისეთ რამეს ხომ არ შეიძენს, რომელიც აქამდე აკლდა?**

- არ ვიცი. ასე ზეპირად ვერ გიპასუხებთ. ყველა ფეხბურთელმა საქმით უნდა გამოიჩინოს თავი. ამ თემაზე ახლა საუბარი სპეკულაციების წამლეკავ ტალღას ააგორებს.

**- ნაკრებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, გულშემატკივრები ხომ არ დაგიპირისპირდებიან?**

- ახლა არ გითხარით, პირველ ეტაპზე შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებ-მეთქი? თუ ევრო 2008-ზე გამარჯვებული ბიჭები თავს გამოიჩენენ, მათ ხელს არ ვახლებ, მაგრამ თუ ცალკეული მოთამაშე ფორმიდან ამოვარდება, მას, რა თქმა უნდა, სხვა ფეხბურთელით შევცვლი. ამა თუ იმ მოთამაშის ცუდ ასპარეზობას ყველაზე კარგად გულშემატკივრები ამჩნევენ, ამიტომ ისინი სულაც არ დამიპირისპირდებიან. პირიქით, კმაყოფილი დარჩებიან. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, "სელექსიონი" როგორი ხარისხის თამაშს აჩვენებს და ფეხბურთელები რამდენად მზად შეხვდებიან პრინციპულ დაპირისპირებებს.

**- ძალიან ხშირად ამბობენ, რომ ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის კაბინეტებში "რეალის" ყოფილი ნევრების დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი. დირექტორატსა და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში არც მეტი არც ნაკლები, სამეფო კლუბის ყოფილი ექვსი წარმომადგენელი მოღვაწეობს. მეტის მეტი ხომ არ არის?**

- მე რას მერჩით? ჩემი აზრით, სჯობს, ამ კითხვით ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის გენერალურ დირექტორს, ფერნანდო იეროს მიმართოთ.

**- კარგია, რომ იერო თავად ახსენეთ. ის მართლაც რკინასავით (იერო ესპანურად რკინას ნიშნავს) მტკიცე ხასიათის კაცია. მშვენივრად ვიცი, რომ იეროს მწვრთნელებისთვის ჭკუის სწავლება უყვარს., დავუშვათ, მან თქვენს საქმეებში ცხვირის ჩაყოფა გადაწყვიტა...**

- 100 პროცენტით დარწმუნებული იყავით, რომ მე დამოუკიდებელი მწვრთნელი ვიქნები. ჩემს საქმეში ჩარევის უფლებას იეროს კი არა, ღმერთს არ მივცემ. და თუ მაინც, ჩამერევა, ან ის დარჩება ნაკრებში, ან მე. ეს გამორიცხულია. კონსულტაციას ნებისმიერი ადამიანისგან მოვისმენ, მაგრამ როგორც კი შევამჩნევ, რომ ჭკუის სწავლებაზე გადავიდნენ, ან შემადგენლობაში ვინმეს დაყენებას მთავაზობენ, მაშინვე პანიკას ავტეხ. თუმცა ამას ისე, უბრალოდ ვამბობ. კითხვაზე გიპასუხეთ, თორემ მსგავსი რამ ესპანეთის ნაკრებში არ მოხდება. დარწმუნებული გახლავართ, ყველაფერი გეგმაზომიერად და მშვიდობიანად წარიმართება.

**- კონსულტაციებს ფეხბურთელებისგანაც მოისმენდით?**

- რა თქმა უნდა. პირველ რიგში ჩემს შეგირდებს დაველაპარაკები ხოლმე. მე პლურალისტი ადამიანი ვარ, მიყვარს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ საკუთარ თავს ვენდობი. მწვრთნელის პროფესია ურთულესია, კრიტიკულ მომენტში არავინ დაგინდობს. ალბათ, ასეც უნდა იყოს, რადგან ხელფასს გუნდის გაძლოლაში ვიღებთ. ერთი სიტყვით, არც ის მინდა, ვინმემ ჭკუა დამარიგოს და არც ის, რომ სხვას შევახოცო ხელი.

**- ესპანეთის ნაკრები ისევ ამ სტილით იასპარეზებს? მოკლე პასებმა, ტექნიკამ და სწრაფმა გარღვევებმა ჩემპიონის ტიტული მოგვიტანა...**

- თქვენს კითხვაში ნაწილობრივ პასუხიც დევს. თუ მოკლე პასებმა, ტექნიკამ და სწრაფმა გარღვევებმა ჩემპიონის ტიტული მოგვიტანა, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმატებული და ეფექტური სტილი გვქონია. ადამიანი იდიოტი უნდა იყოს, წარმატების ფორმულა რომ წაშალოს და ხელახლა დაიწყოს ველოსიპედის გამოგონება. მით უმეტეს, ყველამ იცით, რომ ტექნიკური ფეხბურთი მიყვარს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს იდეებს "სელექსიონშიც" შევასხა ხორცი. ესპანეთის ნაკრებს მადრიდის "რეალივით" ავათამაშებ.

**- როგორ, არაგონესის სქემაში მცირედ ცვლილებასაც არ შეიტანთ?**

- შეუძლებელია, ორმა სხვადასხვა სპეციალისტმა ერთნაირად ათამაშოს გუნდი. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ორმა მწერალმა იდენტური ნაწარმოები შექმნას? რა თქმა უნდა, არა. გარკვეული საკითხების მიმართ, მე ჩემეული ხედვა მაქვს და ეს ხედვა არაგონესის მსოფლმხედველობისგან განსხვავდება. თუმცა ესპანეთის ნაკრები, რა თქმა უნდა, ისევ ესპანურ ფეხბურთს ითამაშებს. აქცენტი კვლავ, ტექნიკაზე, გამოზომილ პასებსა და გუნდურ თამაშზე გაკეთდება. ბუნებრივია, ინდივიდუალისტებიც არ შეიზღუდებიან.

**- "რეალში" მუშაობისას, ფლანგებს საკმაოდ ეფექტურად იყენებდით. ალბათ, ნაკრებშიც ასე იქნება.**

- მწვრთნელმა სათამაშო სტრატეგია იმ ფეხბურთელების შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა შეადგინოს, რომლებიც მის განკარგულებაში არიან. დიახ, სამეფო კლუბში ფლანგებს კარგად ვიყენებდით, მაგრამ "რეალში" ლუიშ ფიგუ და რობერტო კარლოსი მყავდნენ. დასამალი არ არის, რომ ესპანეთის ნაკრებში ასეთი დონის განაპირა ნახევარმცველი და მცველი არ გვყავს, თუმცა ეს სულაც არ მაშინებს. "სელექსიონს" უამრავი კოზირი აქვს და ჩემი მთავარი ამოცანა ამ კოზირების მაქსიმალურად გამოყენებაა.

**- გეთანხმებით, ფიგუ და რობერტო კარლოსი ესპანელები არ არიან, მაგრამ თქვენ კაპელთან, ნავსსა და სისისთან თანამშრომლობის შანსი გაქვთ. ამ სამიდან რომელს შეუძლია ნაკრებში მოხვედრა?**

- (იცინის) ისინი 21-წლამდელთა ნაკრებში თამაშობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძირითად გუნდში ნებისმიერ წამს შეიძლება მოხვდნენ. თქვენს მიერ ჩამოთვლილი ბიჭების თამაშს საგულდაგულოდ დავაკვირდები და თუ ჩავთვლი, რომ "სელექსიონში" ასპარეზობას იმსახურებენ, მაშინვე გამოვიძახებ.

**- ევროპის ჩემპიონები ვართ და ახლა მუნდიალზე გამარჯვება გვინდა. გულწრფელად მითხარით, შესწევს ესპანეთის ნაკრებს ბრაზილიისა და არგენტინის ეროვნული გუნდების დამარცხების უნარი?**

- ევრო 2008-ზე ესპანეთმა წინა ჩემპიონატის გამარჯვებულ საბერძნეთს მოუგო. პლეი ოფში კი მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა. ჩვენი გუნდისთვის შეუძლებელი არაფერია. რა თქმა უნდა, მუნდიალზე გამარჯვება გაცილებით ძნელი იქნება, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში სწორედ ამ მიზნით წავალთ. "სელექსიონს" თავისუფლად შეუძლია, ბრაზილია და არგენტინა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**




ვისენტე დელ ბოსკე



კლარენს ზეედორფი

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ზეედორფი იუვენტუსში?

## ჰოლანდიელი რონალდინიოს მოსვლით გაღიზიანებულიაო. ზეედორფს, შეიძლება, ათიანიც დაათმობინონ

იტალიურ მედიაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. შესაძლოა, **კლარენს ზეედორფმა** "იუვენტუსში" ამოჰყოს თავი. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? გუშინ, "სან სიროზე", დიდი ზეიმი იყო. "როსონერიმ" **რონალდინიოს** პომპეზური პრეზენტაცია მოუწყო, მაგრამ "მილანში" ყველა ბედნიერი როდია. განსაკუთრებით, ზეედორფი ნერვიულობს. ის ხვდება, რომ რონალდინიოს მოსვლით ძირითადში ადგილს კარგავს. გასულ სეზონში, ჰოლანდიელი პლეიმეიქერი, ძირითადად, "ტრეკვარტისტად" (სამი მეოთხედი, ასე ეძახიან იტალიაში ფეხბურთელს, რომელიც თავდამსხმელზე ოდნავ უკან მოქმედებს) ირჯებოდა. ამ პოზიციაზე **კარლო ანჩელოტის** უკვე რონალდინიო ჰყავს. ცხადია, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი მას სკამის სახეხად არ სჭირდება. ზეედორფის პრობლემა ისიცაა, რომ შეიძლება, ათნომრიანი მაისურაც დაკარგოს და ახალწვეულ გაუჩოს გადაულოცოს...

კლარენსის ამგვარი რეაქცია გასაკვირი არც არის, რადგან თავიდანვე, როცა რონალდინიოს ყიდვაზე დაიწყო საუბრები, ის ამას გულგრილად შეხვდა და არც პრესისთვის დაუმალავს. ზეედორფის სიტყვები იყო სწორედ - "მილანს" რონალდინიო არ სჭირდება"! ერთი მხრივ, "გაძეტა დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ ჰოლანდიელი პირველი იყო, ვინც რონალდინიოს მოსვლას მიესალმა, მაგრამ, თუ "ტუტოსპორტს" დავუჯერებთ, ზეედორფი "მილანიდან" აბარგების შესაძლებლობას უკვე აქტიურად განიხილავს.

იგივე "ტუტოსპორტი" წერს, რომ "იუვენტუსი" გაფაციცებით აკვირდება მოვლენათა განვითარებას და რამე რომ იყოს, მზადაა, ზეედორფს ხელი სტაცოს. აქ თითქოს გასათვალისწინებელია "ქალბატონის" მესვეურთა ამასწინანდელი განცხადება, რომ **კრისტიან პოულსენი** ამ ზაფხულის ბოლო შენაძენია, თუმც არ არის გამორიცხული, ეს ჩვეულებრივი ფანდი იყოს. ტიფოზებისთვის სიურპრიზს ხომ არ ამზადებენ "იუვეს" ბოსები?

ისე, ზეედორფი რთული პიროვნებაა. როგორც "როსონერის" სამზარეულოში ჩახედული ხალხი ამბობს, ის ხშირად გამხდარა უსაგნო კამათის მოთავე. მათი მტკიცებით, ჰოლანდიელი სიტუაციას ურევს ხოლმე და ნუ გაგვიკვირდება, თუ მის მოცილებას თავად "მილანიც" ეცდება, რადგან რონალდინიოსთან მის ურთიერთობას კარგი პირი არ უჩანს.

ამასობაში, "იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა **ჟან-კლოდ ბლანმა** უარჰყო გავრცელებული ხმები, ახალი ნახევარმცველის შეძენის თაობაზე. ჰო, მაგრამ 31 აგვისტომდე დიდი დროა და ვნახოთ, რა მოხდება. ამ ეტაპზე კი ბლანი მხოლოდ მეკარეების ფრონტზე მუშაობს. "იუვე" **ჯანლუიჯი ბუფონისთვის** ღირსეულ დუბლიორს ეძებს. ერთ-ერთ ვარიანტად ვეტერან **ანტონიო კიმენტის** დაბრუნება განიხილება.

# ბერბატოვი და ბარსა?

**სერ ალექს ფერგიუსონმა** დაადასტურა, რომ "ტოტენჰემს" **დიმიტარ ბერბატოვის** გაყიდვა შესთავაზა. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ბულგარელ თავდამსხმელს პრემიერლიგის დაწყებამდე გაუფორმებს კონტრაქტს. ბერბატოვი "მამლების" უპირველესი ვარსკვლავია. მან გასულ სეზონში 23 გოლი გაიტანა. დიმიტარის შეძენის შემთხვევაში, "იუნაიტედს" ლიგის საუკეთესო თავდასხმა ეყოლება, თუმცა მიმომხილველებს ჯერ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ მოახერხებს სერ ალექსი ამდენ ვარსკვლავს შორის ადგილების განაწილებას. ფერგი ამბობს, რომ "ტოტენჰემთან" მთელი რიგი საკითხები შესათანხმებელია. მათ შორის, ფეხბურთელის ფასი. "სანის" ცნობით, "იუნაიტედი" 20 მილიონ გირვანქას ამზადებს.

კატალონიურმა გამოცემამ, "დიარიო სპორტმა" გვაუწყა, რომ ბერბატოვის ტრანსფერზე არც "ბარსელონა" იტყოდა უარს. "ბარსა" არსენალელი **ემანუელ ადებაიორის** შეძენას ცდილობდა, მაგრამ მოლაპარაკებებს დასასრული არ უჩანს. კატალონიელებს მოთმინების ფიალა ევსებათ, ამიტომ მზად არიან, ტოგოელ ვარსკვლავს ზურგი შეაქციონ და ბერბატოვის ტრანსფერზე დაიწყონ მუშაობა. "დიარიო სპორტს" თუ დავუჯერებთ, "ბარსა" "ტოტენჰემს" 24 მილიონ გირვანქას შესთავაზებს.

"ტოტენჰემის" თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** განაცხადა, რომ თანახმაა, ბერბატოვის გარდა, რობი კინიც გაყიდოს. ამ უკანასკნელს "ლივერპული" ეპატიჟება და 20 მილიონ გირვანქას იხდის. რამოსი დარწმუნებულია, რომ ორი ლიდერის გაყიდვის შემთხვევაშიც კი, მისი გუნდი ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლებს. ცნობისთვის, ამ ფეხბურთელებმა გასულ სეზონში 50 გოლი გაიტანეს. მიმომხილველები ეჭვობენ, რამოსმა მათი შეცვლა ადვილად მოახერხოს. სპეკულაციების თანახმად, "მამლები" ბლექბერნელ **როკე სანტა კრუსსა** და სარაგოსელ **დიეგო მილიტოს** ეპატიჟებიან.



დიმიტარ ბერბატოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა









გერმანია

# იდეალურად დაბანდებული მილიონები

## ბუნდესლიგის ყველა დროის 20 ტოპ-ტრანსფერი

გუშინდელ ნომერში „ბილდის“ მასალა შემოგთავაზეთ, სადაც ბუნდესლიგის ყველა დროის 20 ყველაზე უიღბლო ტრანსფერზე იყო საუბარი. ამ სტატიას გერმანიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შესაბამისად, ხსენებული გამოცემა მეორე დღეს უკვე 20 საუკეთესო ტრანსფერზე წერდა. შესაბამისად, ამ მასალას „ლელოს“ მკითხველიც დიდი ინტერესით გაეცნობა. საუბარია მხოლოდ 1980 წლის შემდეგ განხორციელებულ ტრანსფერებზე, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს გუნდებმა მილიონების გადახდა. აქვე გეტყვით, რომ განსაკუთრებით საინტერესო ის გარიგებებია, როცა გუნდების მენეჯერებმა ამა თუ იმ ფეხბურთელში მიზერული თანხა გადაიხადეს და შემდეგ მოთამაშე უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა (მაგალითად, თომას დოლი, რომელიც „ჰამბურგმა“ თავის დროზე ძალიან იაფად იყიდა). ახლო წარსულში განხორციელებული ტრანსფერები ჯერჯერობით, არ ითვლება. მაგალითად, ფრანკ რიბერისა და ლუკა ტონის ტრანსფერები, რადგან ერთი სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარება ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ტოპ-ტრანსფერთან გვაქვს საქმე.

ფასები ევროებშია გადაყვანილი.

### კარლ-ჰაინც რიდლე
### (ბლაუ-ვაისიდან ვერდერში)

1987 წელს, ბრემენის „ვერდერმა“ ბერლინის „ბლაუ-ვაისს“ **კარლ-ჰაინც რიდლეს** სანაცვლოდ 800 000 ევრო გადაუხადა. სამი წელიწადის განმავლობაში, ამ უკანასკნელმა ბრემენული კლუბის მაისურით 38 გოლის გატანა მოახერხა. 1990 წელს რიდლე 7.5 მილიონად რომის „ლაციოში“ გაიყიდა.

### ვალერიან ისმაელი
### (სტრასბურიდან ვერდერში)

ფრანგი მცველი „მუსიკოსებმა“ 2003 წელს ფრანგული „სტრასბურიდან“ 300 000 ევროდ შეიძინეს. პირველივე სეზონში, **ისმაელმა** "ვერდერთან" ერთად დუბლი შეასრულა. 2005 წელს ეს ფეხბურთელი „ბაიერნმა“ 8.5 მილიონად შეიძინა. ისმაელი ახლა „ჰანოვერის“ ღირსებას იცავს.

### ემერსონი
### (პორტო ალეგრედან ლევერკუზენში)

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ლევერკუზენის „ბაიერმა“ 1997 წელს, „პორტო ალეგრედან“ 3 მილიონად იყიდა. **ემერსონი** მალე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი გახდა. 2000 წელს ბრაზილიელი „რომაში“ გადავიდა. რომაელებმა „ლევერკუზენს“ 20 მილიონი გადაუხადეს. ამის შემდეგ, ემერსონი „იუვენტუსში“, „რეალსა“ და „მილანში“ თამაშობდა.

### ალექსანდერ გლები
### (მინსკიდან შტუტგარტში)

დღესდღეისობით „ბარსელონას“ ძვირადღირებული ახალწვეული, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ ნახევარმცველად მიიჩნევენ, 2000 წელს მინსკის "დინამოდან" „შტუტგარტში“ 150 000 ევროდ გაიყიდა. ეს გახლდათ შვაბური კლუბის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გარიგება. ბელორუსი პლეიმეიქერი ძალიან მოკლე დროში მსოფლიო დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. 2005 წელს „შტუტგარტმა“ გლები ლონდონის „არსენალს“ 15 მილიონად მიჰყიდა.

### თომას დოლი
### (დინამოდან ჰამბურგში)

დღესდღეობით უმუშევარი მწვრთნელი, რომელიც გასულ სეზონში დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცობდა, 1989 წელს „ჰამბურგმა“ 1 მილიონ ევროდ იყიდა. 1991 წელს მან გავარდნის კანდიდატი გუნდი უეფას თასზე გაიყვანა. მოგვიანებით, **დოლი** რომის „ლაციოში“ 7.5 მილიონად გაიყიდა და ამ თანხამ გალატაკებულ „ჰამბურგს“ საშუალება მისცა, ლიცენზია მიეღო.

### ოლივერ კანი
### (კარლსრუედან ბაიერნში)

შესაძლოა, ბევრს აღარც კი ახსოვდეს, რომ 1994 წელს, მიუნხენის "ბაიერნმა" ლეგენდარულ **ოლივერ კანში** „კარლსრუეს“ სულ რაღაც 2.3 მილიონი ევროს ოდენობის თანხა გადაუხადა. კანმა „ბაიერნში“ გატარებული 14 წლის განმავლობაში არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ათჯერ და ოცჯერ ძვირად ფასობდა. რეკორდმაისტერი კანთან ერთად რვაჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და 2001 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

### ლაიოშ დეტარი
### (აინტრახტი)

უნგრელი ფეხბურთელი ფრანკფურტის „აინტრახტში“ 1987 წელს 1.8 მილიონის საფასურად გადავიდა. მოგვიანებით კი, 8 მილიონად „ოლიმპიაკოსში“ გაიყიდა.

### მათიას ზამერი
### (დრეზდენიდან შტუტგარტში)

„შტუტგარტის“ კიდევ ერთი ყველა დროის საუკეთესო ტრანსფერი: 1990 წელს შვაბებმა დრეზდენს 1.3 მილიონი გადაუხადეს და სანაცვლოდ მიიღეს ფეხბურთელი, რომელიც გერმანული ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. საუბარია, **მათიას ზამერზე**. იმავე წელს, ზამერი მილანის „ინტერმა“ 6 მილიონად შეიძინა.

### ენტონი იებოა
### (ზაარბრიუკენიდან აინტრახტში)

ეს უკანასკნელი „აინტრახტში“ 1990 წელს, „ზაარბრიუკენიდან“ გადაბარგდა და ფრანკფურტელებმა მის სანაცვლოდ 600 000 ევრო გადაიხადეს. **იებოა მიოლერთან** და **ბაინთან** ერთად, „აინტრახტის“ მაგიურ სამკუთხედს ქმნიდა. ის ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და 1995 წელს „ლიდსში“ 3 მილიონად გაიყიდა.

### როლანდ ვოლფარტი
### (დუისბურგიდან ბაიერნში)

1984 წელს „ბაიერნმა“ „დუისბურგიდან“ თავდამსხმელი **როლანდ ვოლფარტი** 400 000 ევროდ შეიძინა. ეს უკანასკნელი ორჯერ გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი და ხუთჯერ იზეიმა გერმანიის ჩემპიონობა. 9 წელიწადში ვოლფარტმა ბუნდესლიგაში 119, ხოლო ევროთასებზე კი 18 გოლი გაიტანა.

### სიორენ ლერბი
### (აიაქსიდან ბაიერნში)

1983 წელს მიუნხენურმა გიგანტმა „აიაქსიდან“ 900 000 ევროდ **სიორენ ლერბი** შეიძინა. ამ უკანასკნელმა „ბაიერნთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონატი და თასი მოიგო. 1986 წელს ლერბი „მონაკოში“ წავიდა. დღესდღეისობით საფეხბურთო აგენტობითაა დაკავებული. სხვა ფეხბურთელებთან ერთად **რაფაელ ვან დერ ვაარტის** მრჩეველია.

### სტეფან შაპუიზა
### (იურდინგენიდან დორტმუნდში)

102 გოლი რვა წლის განმავლობაში – ამით, ფაქტობრივად, ყველაფერი ნათქვამია. „ბორუსიის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ვესტფალიურ კლუბში 1991 წელს „იურდინგენიდან“ გადავიდა და „ბორუსიამ“ მის სანაცვლოდ 1 მილიონი გადაიხადა. **შაპუიზამ** დორტმუნდულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი და ორჯერ გერმანიის ჩემპიონატი მოიგო.

### ულფ კირსტენი
### (დრეზდენიდან ლევერკუზენში)

**ულფ კირსტენის** საგოლე ალღოზე გერმანიაში (და არა მარტო იქ) დღესაც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ჩინებული ალღო აღმოაჩნდა „ლევერკუზენის“ გენერალურ მენეჯერ **რაინერ კალმუნდსაც**, რომელმაც კირსტენი დრეზდენის „დინამოდან“ 1.8 მილიონ ევროდ იყიდა. კირსტენმა „ფარმაცევტების“ რიგებში 182 გოლი გაიტანა და სამჯერ გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი.

### დიმიტარ ბერბატოვი
### (სოფიიდან ლევერკუზენში)

ბულგარელმა თავდამსხმელმა **დიმიტარ ბერბატოვმა** 2000 წელს სოფიიდან „ბაიერს“ მიაშურა. ლევერკუზენელებს მისი ტრანსფერი 2.5 მილიონ ევრო დაუჯდათ. ბერბატოვმა 154 შეხვედრაში 69 გოლი გაიტანა, 2006 წელს კი 15.7 მილიონ ევროდ „ტოტენჰემში“ გაიყიდა.

### იორგ ჰაინრიხი
### (ფრაიბურგიდან დორტმუნდში)

გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი დორტმუნდის „ბორუსიამ“ 1996 წელს „ფრაიბურგიდან“ შეიძინა და მის სანაცვლოდ 1.2 მილიონი ევრო გადაიხადა. **იორგ ჰაინრიხმა** ვესტფალიელებთან ერთად გერმანიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშიროსი თასი მოიგო. 1998 წელს „დორტმუნდმა“ ჰაინრიხი „ფიორენტინაში“ გაყიდა (12.6 მილიონ ევროდ).

### ლინკოლნი
### (კაიზერსლაუტერნიდან შალკეში)

2004 წელს „შალკეს“ ბრაზილიელი გამთამაშებლის შეძენა 600 000 ევრო დაუჯდა. **ლინკოლნმა** გელზენკირხენული კლუბის რიგებში 83 მატჩში 20 გოლი გაიტანა და 20 საგოლე პასი გააკეთა, გუნდი ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში. შარშან „გალათასარაიმ“ მასში 5 მილიონი ევრო გადაიხადა.

### რაფაელ ვან დერ ვაარტი
### (აიაქსიდან ჰამბურგში)

2005 წელს „ჰამბურგმა“ ეს მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელი „აიაქსიდან“ 5 მილიონ ევროდ შეიძინა. 29 გოლი 74 თამაშში, კაპიტანი, ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელი, გუნდის ლიდერი – **ვან დერ ვაარტმა** მოლოდინი გაამართლა. დღეს მისი ფასი მინიმუმ 25 მილიონია.

### შტეფან ეფენბერგი
### (გლადბახიდან ბაიერნში)

გენიალური ეფე „ბაიერნმა“ 1998 წელს 4 მილიონად იყიდა. **ეფენბერგი** რეკორდმაისტერის კაპიტანი, ლიდერი და შეუცვლელი ფიგურა გახდა. მიუნხენელი ფანები მას დღესაც მისტირიან. „ბაიერნთან“ ერთად სამჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, მოიგო ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი.

### დიეგო
### (პორტუდან ვერდერში)

გენიალურმა ბრაზილიელმა „ვერდერი“ ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში. **დიეგო** ორი წელიწადია, რაც ბუნდესლიგაში თამაშობს და შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელებს შორის ყველაზე პოპულარულია. თავის დროზე (2006 წელს) „მუსიკოსებმა“ მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადეს. დღეს დიეგოს ფასი 25-დან 30 მილიონამდეა.

### ჯოვანი ელბერი
### (გრასჰოპერსიდან შტუტგარტში)

**ჯოვანი ელბერი** 1994 წელს ციურიხის „გრასჰოპერსიდან“ „შტუტგარტში“ სულ რაღაც 1.6 მილიონად გაიყიდა. ბრაზილიელი ჯერ შვაბური კლუბის ლიდერი გახდა, მერე კი ის "ბაიერნმა" შეიძინა (1997 წელს, 6.5 მილიონად), სადაც ასევე უპირველესი გოლეადორი იყო – 133 გოლით ის დღემდე ბუნდესლიგის ყველაზე გოლუხვი ლეგიონერია. დღესდღეისობით, ელბერი სკაუტად მუშაობს – „ბაიერნის“ სკაუტად ბრაზილიაში.

გოტფრიდ ლენცი








ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ

## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

### სეული. XXIV ოლიმპიადა

# გამთლიანებული თამაშები


ნინო სალუქვაძე


დავით გობეჯიშვილი


ვლადიმერ აფციაური


ვლადიმერ გოგოლაძე


გელა კეტაშვილი






"ინტერესით ვკითხულობ ოლიმპიურ თემატიკაზე "ლელოში" გამოქვეყნებულ მასალებს. საბჭოთა სპორტსმენები, მათ შორის ქართველები არ მონაწილეობდნენ, ცნობილი მიზეზების გამო, 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებში. გვაინტერესებს საბჭოთა სპორტსმენებმა იმ წლებში რაიმე სხვა შეჯიბრებაში თუ იასპარეზეს და როგორი იყო საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები?" სულ ეს არის, რაც "ლელოს" სტაჟიანმა მკითხველმა **სოსო ჭანტურიამ** მოგვწერა ქუთაისიდან.

კარგ დროს დაემთხვა. ახლა, ჩვენს რუბრიკაში, სწორედ 23-ე ოლიმპიადის ჯერი დადგა. ეს თამაშები გაიმართა 1984 წელს ლოს-ანჯელესში. სამწუხაროდ, ამჯერად საბჭოთა კავშირმა და სოცქვეყნებმა გადაუხადეს დასავლეთს სამაგიერო - ეს ოლიმპიადაც ორად გახლეჩილი სამყაროს თამაშებად შევიდა ისტორიაში. ახლა მოდით, ერთად ვუპასუხოთ ქუთაისელ მკითხველს. საბჭოთა კავშირს, რომელიც თავის ნებას კარნახობდა არა მხოლოდ ევროპის ბევრ ქვეყანას, ცხადია, შეეძლო, ოლიმპიური იდეალების სასიკეთოდ გადაედგა ნაბიჯი,.არ შეეტანა განხეთქილება ოლიმპიურ მოძრაობაში არც 1980 წელს და არც ოთხი წლის შემდეგ. მოსკოვის ოლიმპიადის წინ საბჭოთა ჯარები ავღანეთში შევიდნენ და ეს იყო პროტესტის საბაბი. 1984 წლის ოლიმპიადისადმი ბოიკოტი კი საპასუხო ალიყური იყო დასავლეთისთვის.

სწორედ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საპირისპიროდ ჩატარდა 1986 წელს სსრ კავშირში "კეთილი ნების თამაშები" იმ ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობით, რომლებსაც ლოს-ანჯელესში ოლიმპიურ ტურნირებში ასპარეზობის უფლება წაართვეს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ თამაშების დანერგვის ინიციატორი გახლდათ ამერიკელი მილიონერი **ტედ ტერნერი**, რასაც მიესალმა საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელობა, ცხადია, ხელისუფლების ნებით. პირველი თამაშები ჩატარდა მოსკოვში და მასში 79 ქვეყნის 3 000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოდან 1986 წლის ასპარეზობაში ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა **ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი, პირადი და გუნდური), **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, გუნდური, პირადში II), მეორე პრიზიორები გახდნენ **მაია აზარაშვილი** (მძლეოსნობა), **ოთარ მჭედლიშვილი** (ველოსპორტი), **ხვიჩა ხდრიანი** (კრივი), **გურამ ბიგანიშვილი** (აფროსნობა), მესამე იყო **იური საკოჩკინი** (კრივი). შემდეგ თამაშებს (1990) სიეტლმა უმასპინძლა, მესამეს - სანკტ-პეტერბურგმა (1994). საერთოდ ჩატარდა ზაფხულის 5 და ზამთრის ერთი თამაშები.

და აი, ამასობაში ზაფხულის XXIV ოლიმპიადის ჩატარების დროც დადგა. სეულში საასპარეზოდ უკვე გამთლიანებული ოლიმპიური სამყარო შეიკრიბა, 162-მა ქვეყანამ თამაშებზე მიავლინა 8468 სპორტსმენი. 12 წლის შემდეგ კვლავ ჩაებნენ მშვიდობიან ბრძოლაში ოქროს მედლების მთავარი კონკურენტები სსრკ, აშშ და გდრ. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ოლიმპიადების ისტორიაში პირველად აღმოჩნდა აშშ-ი მესამე ადგილზე (იხ. ცხრილი). საქართველოდან სეულში, ისევე, როგორც მიუნხენსა და მოსკოვში 16 სპორტსმენი გამოვიდა ოლიმპიურ სარბიელზე. ოქროს 5, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 5 მედალი - ასეთი იყო საბოლოო შედეგი. ჩემპიონები გახდნენ: **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), **ვლადიმერ აფციაური** (ფარიკაობა), **ვლადიმერ გოგოლაძე** (ტანვარჯიში), **გელა კეტაშვილი** (ფეხბურთი). ნინო სალუქვაძე ვერცხლის მედალსაც დაეუფლა. მეორე ასეთი ჯილდო კი **ლერი ხაბელოვის** წილად მოდის. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ: **ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე** (ორივე - ძიუდო), **ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი), **მიხეილ გიორგაძე** (წყალბურთი) და **მაია აზარაშვილი** (მძლეოსნობა); მეოთხე იყო **გიორგი ჩოგოვაძე** (წყალში ხტომა), მეშვიდე - **ქრისტინა ფალასანიდი** (სინქრონული ცურვა) და **გიორგი გედეხაური** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ლეილა მესხი** (ჩოგბურთი) ტურნირს მეორე წრიდან გამოეთიშა, **თამაზ იმნაიშვილი** - კვალიფიკაციიდან.

ახლა ვნახოთ კიდევ ვინ დაიმსახურა ოქროს 5 მედალი და რომელ ადგილზე ვართ პირობითად ამ მაჩვენებლით. მაშ ასე, 5-5 უმაღლესი ჯილდო მოიპოვა ჩინეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და კენიამ, რომლებიც საბოლოო ცხრილში მე-11-13 ადგილებს იკავებენ, მათ შორის ვიქნებოდით ჩვენც. ოცდაათეულში შევიდოდით ვერცხლისა და თხუთმეტეულში - ბრინჯაოს მედლებით.

სეულის ოლიმპიადის სამეული საერთო ჩათვლაში ასე გამოიყურება:

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| სსრკ | 55 | 31 | 46 | 132 |
| გდრ | 37 | 35 | 30 | 102 |
| აშშ | 36 | 31 | 27 | 94 |

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

### პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ბესიკ გუჩაშვილი, თავისუფალი ჭიდაობა

# მეორე ცდაზე აღებული სიმაღლე

ბავშვობისას ჭიდაობაზე არასდროს უფიქრია. ჩია ტანისას უფრო ფეხბურთი იტაცებდა, თუმცა ღია სარბიელზე გამართული ორთაბრძოლები არასდროს გაუცდენია - უბნის ფალავნებს ქომაგობდა. ერთ მშვენიერ დღეს ისიც შეიტყუეს ნახერხმოყრილ წრეში. მაშინ 6 წლისა იყო. სამი წელიწადი გია ჯინიყაშვილი ასწავლიდა ფანდებს, 16 წელიწადია, ნუგზარ სხირელი ავარჯიშებს. ამ ხნის განმავლობაში ბესიკ გუჩაშვილმა არა ერთ წარმატებას მიაღწია. უფროსებში საქართველოს შვიდგზის ჩემპიონმა ახალგაზრდების ევროპის პირველობებზე ორჯერ მეორე და ერთხელ მესამე ადგილები დაიკავა, 2001 წლის მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორია.

2005 წელს შვიდ ტურნირში იასპარეზა და ყველგან ჯილდო დაიმსახურა. საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულსა და პრიზიორს ევროპის ჩემპიონატზე "ბრინჯაო" ერგო.

- არაობიექტური მსაჯობა რომ არა, ვარნაში უკეთესი შედეგის მოპოვება შემეძლო, - მითხრა ბესომ. - ბულგარელებს ჩემს წონაში მედლის აღების შანსი მიეცათ და ხელიდან როგორ გაუშვებდნენ. მე და ველიკოვმა თითო პერიოდი მოვიგეთ. მესამე რაუნდში, ფაქტობრივად, ყველაფერი არბიტრებმა გადაწყვიტეს. ფინალში მასპინძელთა გუნდის წევრმა მოლდოველ ტულბიასთან წააგო, მე კი "ბრინჯაოსთვის" პაექრობაში ესპანელ სანჩესს ვძლიე.

**- სპორტულ კარიერაში, ალბათ, ყველაზე მეტად ამ შეხვედრამ დაგწყვიტა გული...**

- იყო უფრო დიდი იმედგაცრუებაც: 2003 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ჩემპიონატზე სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორ **ამირან კარდანოვთან** წავაგე. ბერძენმა მოჭიდავემ ბოლო წამზე ამართვა ქულა და ათენის ოლიმპიადის მილმა დამტოვა.

**- წლეულს ხომ აისრულე ოცნება?**

- ბოლო ორი წელიწადია, საერთაშორისო სარბიელზე ნორმალურად ვერ ვჭიდაობ. შარშან ბაქოს მსოფლიო ჩემპიონატზე ტრავმის გამო საერთოდ არ მიასპარეზია. წლეულს ევროპაზე ვფიქრობდი დანაკარგის ანაზღაურებას, სასტარტო შეხვედრა ისევ ველიკოვთან წავაგე. ეს ბიჭი და მსაჯები ბედისწერად მექცნენ.

პირველ სალიცენზიო ტურნირზე შვეიცარიაში თითო მოგებითა და წაგებით უსაგზუროდ დავრჩი, აი, პოლონეთში კი საწადელს მივაღწიე - სამ კონკურენტს გავუსწორდი, მართალია, ფინალი კორეელთან დავთმე, მაგრამ ამას ლიცენზიების განაწილებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია, რადგან პეკინის საგზური უკვე დაბევებული მქონდა. ბედნიერი ვარ, რომ მეორე ცდა შედეგიანი გამოდგა.

**- საოლიმპიადოდ რა მიზნები გაქვს?**

- წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. მონდომებით ვემზადები. თავს კარგად ვგრძნობ. დანარჩენი კი პეკინის ხალიჩაზე გამოჩნდება.

ბესიკ გუჩაშვილი ამჟამად ნაკრების წევრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე ბორჯომში იმყოფება. ჩვენი ფალავნები პეკინს 11 აგვისტოს ეწვევიან და ერთ კვირას აკლიმატიზაციის გასავლელად და მოსამზადებლად გამოიყენებენ. 19 აგვისტოს კი მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**



## ოლიმპიური ვიქტორინა

### ექღვნება 25-ე ოლიმპიურ თამაშებს

1. სად ჩატარდა 25-ე თამაშები?
   - ა - ატლანტაში
   - ბ - ბარსელონაში
   - გ - სიდნეიში
2. რა სტატუსით მონაწილეობდა ხსენებულ თამაშებში საქართველო?
   - ა - დამოუკიდებელი ქვეყნის
   - ბ - სსრკ ნაკრებში
   - გ - გაერთიანებულ გუნდში
3. რამდენი მონაწილე ჰყავდა საქართველოს?
   - ა - 12
   - ბ - 14
   - გ - 16
4. ვინ გახდა ჩვენი მოჭიდავეებიდან ოლიმპიური ჩემპიონი?
   - ა - გიორგი კოლუაშვილი
   - ბ - დავით გობეჯიშვილი
   - გ - ლერი ხაბელოვი
5. რამდენი ქართველი ქალი მონაწილეობდა 24-ე ოლიმპიურ თამაშებში?
   - ა - 3
   - ბ - 4
   - გ - 5

*პასუხებს გაეცნობით რუბრიკის მომდევნო გამოშვების მასალებში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

რაგბი. ინტერვიუ ირაკლი მაჩხანელთან

# წინ ურთულესი სეზონი მელის



ირაკლი მაჩხანელი

**საქართველოს ნაკრების გარემარბის და 2007 წლის საუკეთესო ქართველი მორაგბის ირაკლი მაჩხანელის ფრანგული კლუბი "მონ დე მარსანი" მეორე დივიზიონიდან ელიტარულ, პირველ დივიზიონში ალზევდა. თუმცა ირაკლი კლუბს თან არ გაჰყვა და იმავე, მეორე დივიზიონის "აჟენში" გადაბარგდა. ამჟამად ის შვებულებაშია და მალე ახალ გუნდს შეუერთდება, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტი ანრი ბრონკანი წვრთნის:**

- "მონ დე მარსანთან" კონტრაქტი ახლახან დამიმთავრდა - გვიამბობს ირაკლი მაჩხანელი - სეზონის მსვლელობისას, ჯერ კიდევ მარტში "აჟენის" ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ და მათ კლუბში გადასვლა შემომთავაზეს. მაშინ ტრავმა მქონდა, "მონ დე მარსანის" ხელმძღვანელები ფეხს ითრევდნენ, არაფერს მთავაზობდნენ. რა უნდა მექნა? ვიფიქრე, საერთოდ უგუნდოდ არ დავრჩე-მეთქი და "აჟენის" პირობებს დავთანხმდი.

**- ბოლო ორი თვე თითქმის ყველა შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა. წესით, "მონ დე მარსანის" ხელმძღვანელები უკმაყოფილო არ უნდა ყოფილიყვნენ. ხომ არ ნანობენ სხვა გუნდში რომ გადახვედით?**

- უკმაყოფილო ნამდვილად არ არიან. პირიქით, გათამაშება რომ დასრულდა, მითხრეს, იქნებ "აჟენთან" კონტრაქტი განწყვიტოო. უკეთეს პირობებს შემოგთავაზებთო. ცხადია, ჩემს მენეჯერს დავუკავშირდი, რომელმაც მსგავსი რამ კატეგორიულად გამორიცხა. თანაც "აჟენში" ძალიან კარგი საკონტრაქტო პირობები მაქვს. "მონ დე მარსანში" კი ნერვებს მიშლიდნენ. ნაკრებში სათამაშოდ არ მიშვებდნენ.

**- იმავე პრობლემას "აჟენი" არ შეგიქმნით?**

- არ მგონია, "აჟენმა" რამე პრობლემა შემიქმნას ნაკრებში თამაშთან დაკავშირებით. მით უფრო, რომ, როგორც ვიცი, ნაკრების თმაშები IRB-ის მიერ დაწესებულ თარიღებში გაიმართება. ასეთ შემთხვევაში კლუბი წინააღმდეგობას ვერ გაბედავს. თანაც "აჟენში" ჩემს პოზიციაზე ერთბაშად კიდევ ოთხი მორაგბე ირიცხება. ერთი მხრივ, საკმაოდ სერიოზული კონკურენცია იქნება. მეორე მხრივ კი, კლუბს რომელიმე მოთამაშის არყოფნის შემთხვევაში საკადრო პრობლემა არ შეექმნება. ეს ძალიან კარგია.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია "აჟენში" ძველი მწვრთნელები დააბრუნეს. რის შემდეგაც ანრი ბრონკანის როლი გუნდის ხელმძღვანელობაში საკმაოდ პასიური იქნება.**

- არ მგონია, მასე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ბრონკანმა ჩემთან საუბრისას თქვა - 60 წლის კაცი ვარ. გუნდში ან მთავარი მწვრთნელი ვიქნები ან საერთოდ არ ვიქნებიო. მეორე სრულიად გამორიცხულია. ბრონკანმა "აჟენი" რომ დატოვოს, 480 ათასი ევრო უნდა გადაუხადონ კომპენსაციის სახით. კლუბის შეფები, ცხადია, ამას არ იზამენ. ამიტომ უნდათ თუ არა, ანრი გუნდის მწვრთნელი იქნება, მით უფრო, რომ ხელშეკრულება მას 2010 წლამდე აქვს გაფორმებული.

**- "აჟენში" შენს გარდა კიდევ ერთი ქართველი ანტონ ფეიქრიშვილია, რომელმაც გასულ სეზონში გუნდის ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე მატჩში ითამაშა.**

- ანტონის ძალიან კმაყოფილები არიან. რომ არა ტრავმა, სეზონის დასკვნით ნაწილშიც ძირითადის მოთამაშე იქნებოდა. ეს მაშინ, როცა რეალურად ახალგაზრდული ასაკისთვის განკუთვნილი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. რამდენადაც ვიცი, ამჯერად მან კლუბთან პროფესიულ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მუდმივად ძირითად გუნდში ივარჯიშებს და ითამაშებს.

**- ტრავმის გამო თქვენ საკმაოდ ბევრი გაგიცდათ. ამჯერად, როგორია ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

- საბედნიეროდ, ტრავმა არ გამირთულდა, თუმცა ამის საშიშროება რეალურად იყო. ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ და ვფიქრობ, კლუბშიც და ნაკრებშიც თავიდან ბოლომდე შემიძლია დავიხარჯო. წინ ძალიან დაძაბული სეზონი მელოდება. ორივეგან, კლუბშიც და ნაკრებშიც საკმაოდ რთული ამოცანაა გადასაჭრელი. "აჟენი" ელიტარულ პირველ დივიზიონში გადასასვლელად იბრძოლებს. საქართველოს ნაკრებმა კი მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირზე უნდა იასპარეზოს წარმატებით. ვფიქრობ, ორივე მიზანი რეალურად მიღწევადია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ქართველთა ჰეგემონიით

ფოთში დასრულდა **ნანა ალექსანდრიას** სახელობის მესამე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი. წლევანდელ ტურნირში 6 ქვეყნის 342-მა მოჭადრაკემ ისურვა თამაში და როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, შეჯიბრებამ მეგობრულ და საქმიან ვითარებაში, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. ფოთელებს მასპინძლობა არასდროს ეშლებოდათ და სასიქადულო თანამოქალაქის, ნანა ალექსანდრიას სახელობის ტურნირსაც დიდი სიყვარულითა და ყურადღებით ეკიდებოდნენ. გარდა სპორტული მხარისა, მოჭადრაკეებს კულტურული ღონისძიებებითაც ანებივრებდნენ და დახურვის ცერემონიალიც მეტად შთამბეჭდავი გამოუვიდათ.

დასკვნით დღეს ფოთს ქალბატონი ნანაც ესტუმრა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემაც** არ დაიზარა ფოთში ჩასვლა. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორიც იქ იყო და რა გასაკვირია, რომ ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის თავკაცებიც გვეხილა შემაჯამებელ ღონისძიებაზე.

ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები საპატიო სტუმრებთან ერთად ფესტივალის ერთ-ერთმა სპონსორმა **ლელა ებრალიძემაც** დააჯილდოვა. თუ ვინ მიიღო პრიზები, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. უმრწემესთაგან დავიწყოთ. 8 წლამდე გოგონებში გამარჯვებულის ვინაობა ერთი ტურით ადრე გაირკვა - ქუთაისელი **ნინო ჯალაღონია** ყველასთვის მიუწვდომელი გახდა. ბოლო ტურში ყაიმით ითამაშა ნინომ და საბოლოოდ 8 ქულით იპირველა. ამ გამარჯვებისთვის, ოქროს მედლისა და თასის გარდა, ფულადი პრიზიც ერგო - 350 ლარი. მეორე ადგილზე **ნათია ჯიბუტი** გავიდა 7.5 ქულით; მისი ფულადი ჯილდო 250 ლარის ტოლია. მესამე ადგილის მფლობელი **ელა სვანაძეა** - მას 150 ლარი გადაეცა. ფულადი ჯილდოები ერგოთ მეოთხე და მეხუთე ადგილოსნებსაც - **მარიამ დოლიძემ** 100 ლარი ირგუნა, **თეკლა ლომიძემ** კი - 50.

ვაჟებშიც ერთი ტურით ადრე იპირველა ქუთაისელმა **დავით გვენეტაძემ**. მან 400 ლარით შეივსო ბიუჯეტი. მეორეზეა, **გურამ ჭელიძე**, მესამეზე - სომეხი **არტურ ჰოგრსტიანი**. ამათმა შესაბამისად, 300 და 200 ლარი მიიღეს. მეოთხეზე **ვახტანგ კეკელიძეა**, მეხუთეზე - **თამაზ კიკნაველიძე**.

10-წლამდელებში ბოლო ტურში გაირკვა გამარჯვებული და გოგონებში ეს **ნინო ხომერიკია**. ქართველმა 7.5 მოაგროვა, ისევე, როგორც სომეხმა **სირანუშ გუკასიანმა**, მაგრამ კოეფიციენტით აჯობა. მესამეზე აზერბაიჯანელი **მაგრურა იმანლია** 7 ქულით. მეოთხეზეც აზერბაიჯანელი **აიდან ჰოჯატოვაა** 6 ქულით, მეხუთეზე კი **მარიამ მჟავია** - მასაც ექვსი ქულა აქვს. ფულადი ჯილდოები აქაც 8-წლამდელთა დარად განაწილდა.

ვაჟებში სტუმრებმა იძალეს და ქართველებიდან ხუთეულში მხოლოდ **ნოე თუთისანმა** შეაღწია და ისიც მეხუთე ნომრად. პირველ ადგილზე აზერბაიჯანელი **ულვი სადიხოვია** 8 ქულით; მეორეზე სომეხი **ერიკ ხაჩატურიანი** გავიდა 7.5 ქულით; მესამეა აზერბაიჯანელი **ილკინ ალისაფტარ ოღლუ** 7 ქულით და 6.5 ქულით მეოთხეა სომეხი **ჰარუტუნ ბარსეგიანი**.

12-წლამდელებში **ანა შამათავამ** იმარჯვა ერთი ტურით ადრე - 7.5 ქულით დაასრულა ტურნირი. მეორეზე **დეა გოგიშვილი** გავიდა 6.5 ქულით; **თეკლა მჟავიას** 6 ქულით მესამე ერგო. მეოთხეზე **ნატო იმნაძე** გავიდა ასევე 6 ქულით და 5.5 ქულით მეხუთე იყო **ნინო ხომერიკი**. შეგახსენებთ, ფესტივალზე დაბალი ასაკის მოჭადრაკეებს უფლება ჰქონდათ უფროსებშიც ესასპარეზათ, რის გამოც 10 და 12-წლამდელები დილით, 10 საათზე იწყებდნენ თამაშს, 8 და 16-წლამდელები კი შუადღით მიუსხდებოდნენ ხოლმე დაფებს. ნინო ხომერიკმა 10-წლამდელთა შორის ხომ იმარჯვა, 12-წლამდელებშიც გამოიჩინა თავი და მეხუთეზე გავიდა.

ვაჟებში პირველზე გასვლა შეძლო უდავო ფავორიტმა **ირაკლი ბერაძემ**. არცთუ კარგი სტარტის შემდეგ, ირაკლიმ თამაში კარდინალურად გამოასწორა და ყველას აჯობა - 7.5 ქულას მოუყარა თავი. მეორეზე **ალექსანდრე ებრალიძე** გავიდა 7 ქულით; მესამე **გიგლა ბენიძეა** ასევე 7 ქულით. მეოთხე ადგილი წილად ხვდა **გუგა ბურდულს** - 6.5 ქულით და მეხუთე იყო სომეხი **მარატ მეჟლუმიანი** - 6.5.

საპრიზო ფონდი ამ ასაკის გოგო-ბიჭებში ოდნავ მაღალი იყო: გოგონებში: 1 - 500 ლარი; 2 - 350; 3- 250; 4 - 150; 5 - 100. ვაჟებში: 1 - 600; 2 - 400; 3 - 250; 4 - 150; 5 - 100.

თამასამ კიდევ უფრო აიწია 16-წლამდელთა შორის. გოგონებში: 1 - 550; 2 - 400; 3 - 300; 4 - 150; 5 - 120. ვაჟებში: 1 - 750; 2 - 500; 3 - 400; 4 - 200; 5 - 150.

გოგონებში გამარჯვება ქუთაისელმა **ფატი რიჟამაძემ** მოიპოვა 7 ქულით. მეორე ადგილზე **ნათია ჯალაბაძეა** 6.5 ქულით. ამდენივე დააგროვეს **ნანი უნაფქოშვილმა და ლელა უგულავამ**; კოეფიციენტით ნანიმ დაიკავა მესამე ადგილი. მეხუთეზე **ნინო ანაკიძე** გავიდა 6 ქულით.

ვაჟებში **გიორგი ნიკოლაშვილმა** იპირველა - 7.5. ამდენივე აღმოაჩნდა რუს **ზაურ მამედოვს**, მაგრამ კოეფიციენტი ქართველზე უარესი ჰქონდა. მესამე ადგილზე 7 ქულით **ლევან ბრეგაძე** გავიდა; მეოთხე იყო **ზურაბ ჯავახაძე** - მასაც 7 ქულა აქვს. მეხუთე ადგილი და 150 ლარი აზერბაიჯანელ **რუსტამ სარიევ ოღლუს** არჩივი გახდა.

როგორც ნახეთ, ტურნირმა ქართველთა უპირატესობით ჩაიარა და ეს მოსალოდნელიც იყო. განსაკუთრებით ივაჟკაცეს ქუთაისელმა გოგო-ბიჭებმა, რაც მათ მიერ ოქროს ოთხ მედალში თვალნათლივ ჩანს. კარგად გამოვიდნენ თბილისელებიც, თუმცა მათი მონაგარი შედარებით მცირეა - ოქროს სამი მედალი.

ტურნირი ლამაზი საღამოთი დასრულდა და გაისად კვლავ დაპატიჟეს სტუმრები ფოთში. როგორც ამბობენ, მერმის ფესტივალის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზრდება. მოიმატებს მონაწილეთა ასაკიც - ანუ დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატთა სადარი ტურნირებიც მოეწყობა. საპრიზო ფონდი რომ მიმზიდველი უნდა იყოს ასეთი მასშტაბური ტურნირისთვის, ფოთში კარგად უწყიან. იმედია, რომ ყველა საკითხი დადებითად გადაწყდება და ასე დანატრებულ ძლიერ საერთაშორისო შეჯიბრებას ვიხილავთ საქართველოში.

**ზვიად შათირიშვილი**

სუმო. ივლისის ბაშო

# ჩვენებური დიდი ჩემპიონის კვალდაკვალ

20 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** იაპონიას და სუმოს ყველა გულშემატკივარს აოცებს – ნაგოიას ბაშოზე ექვსი დღე მიილია და ტოჩინოშინი ხუთი მოგებით ხუთიდან ერთ-ერთია, რომლებიც დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** კვალში უდგანან. ტოჩინოშინმა ზედიზედ მეოთხე ორთაბრძოლა მოიგო, რაც მან ელიტაში პირველად მოახერხა.

ლევან გორგაძის მეტოქე მონღოლი ფალავანი **კორიუ** იყო, ქართველმა ამჯერად იორიტაოშის ილეთი გამოიყენა და მეტოქე დოჰიოს ცენტრში დაანარცხა ძირს. სასიხარულოა, რომ ტოჩინოშინი სიტუაციისა და მეტოქის მიხედვით იოლად ცვლის ტაქტიკას, როცა საჭიროა ფონს გადის და ან ტექნიკურ ილეთს იყენებს. 20 წლის ჩვენებურს 5-1 ბალანსი აქვს, რომ არა დასანანი ნაგება ბაშოს მეორე დღეს (საერთო შეფასებით დებიუტანტ **მასაცუკასასთან** ბრძოლა ქართველს იოლად უნდა მოეგო, არადა, დათმო) ახლა ის 6 მოგებით ჰაკუჰოსთან ერთად ლიდერი იქნებოდა. დღეს ტოჩინოშინი მე-10 მაეგაშირა **ტამანოშიმას** შეერკინება, რომელიც ერთ დროს სეკივაკეც იყო.

სამწუხაროდ, ვერ ყოჩაღობს ჩვენი სახელოვანი ფალავანი **ლევან ცაგურია (კოკაი)**. პირველი ევროპელი კომუსუბი გუშინ იაპნელთა კერპ **ტაკამისაკარისთან** დამარცხდა. სასტარტო დაჯახების შემდეგ კოკაიმ დაკარგა წონასწორობა და ის იოლად დააგდო ტაკამისაკარიმ. კოკაის ბალანსი უკვე შემაშფოთებელია – 2:4. დღეს კოკაი მე-6 მაეგაშირა **ჰომაშოს** შეხვდება.

ბაშოზე მხოლოდ ერთი დიდი ჩემპიონი დარჩა, მხარის ტრავმის გამო ტურნირი 22-გზის ჩემპიონმა **ასაშორიუმ** მიატოვა. ლეგენდარულ სუმოისტს სამი კვირა დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად, ანუ მისი დაბრუნება ამ ბაშოზე გამორიცხულია.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დარჩენას ცდილობს დასავლეთის 54-ე ნომერი **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება. ამისთვის გაგამარუმ შვიდიდან ოთხი ორთაბრძოლა მაინც უნდა მოიგოს. საქმის ნახევარი ქართველმა უკვე გააკეთა. გუშინ, გაგამარუმ მძლავრი მიწოლით (ოშიდაში) დოჰიოდან **კენო** გაიყვანა. თეიმურაზს, ჯერჯერობით, დადებითი ბალანსი გაუხდა - 2-1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ნაგოიას ბაშო

(ივლისის სუპერტურნირი)
13-27 ივლისი. აიჩის
პრეფექტურა (იაპონია)

VI დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 10)-ტაკამისაკარი (მ 8) 0:1 (ჰიკიოტოში); ტოჩინოშინი (მ 14)-კორიუ (მ 13) 1:0 (იორიტაოში); ჰაკუჰო (ი)-ფუტენო (მ 3) 1:0; ვაკანოსატო (მ 4)-ასაშორიუ (ი) 1:0 (უბრძოლველად); კოტომიცუკი (ო)-ტოიონოშიმა (კ) 1:0; კაიო (ო)-ვაკანოჰო (მ 1) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ამინიშიკი (მ 1) 1:0; კოტოოშუ (ო)-კისენოსატო (კ) 1:0; კოტოშოგიკუ (ს)-ამა (ს) 1:0; ასასეკირიუ (მ 2)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; მიაბიამა (მ 5)-ტოჩინონადა (მ 3) 1:0; ტოკიტენკუ (მ 6)-გოეიდო (მ 4) 1:0; როჰო (მ 7)-ბარუტო (მ 5) 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: 6-0: **ჰაკუჰო (იოკოძუნა) 5-1: კოტომიცუკი (ოძეკი); ამა (სეკივაკე); მიაბიამა (მაეგაშირა 5); კიმურაიამა (მ 12); ტოჩინოშინი (მ 14)..** 2-4: კოკაი (მ 10)

VII დღე: მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 10)-ჰომაშო (მ 6); ტოჩინოშინი (მ 14)-ტამანოშიმა (მ 10); ჰაკუჰო (ი)-ტოჩინონადა (მ 3); კაიო (ო)-ამა (ს); ჩიოტაიკაი (ო)-ვაკანოჰო (მ 1); კოტოოშუ (ო)-ასასეკირიუ (მ 2); კოტომიცუკი (ო)-ჰოკუტორიკი (მ 2); კოტოშოგიკუ (ს)-ტოიონოშიმა (კ); კისენოსატო (კ)-ფუტენო (მ 3); ამინიშიკი (მ 1)-ვაკანოსატო (მ 4); როჰო (მ 7)-გოეიდო (მ 4); მიაბიამა (მ 5)-კაკურიუ (მ 7)**



ასაშორიუ

ჭიდაობა

# უჩა შავაძე ევროპის ჩემპიონია




სლოვაკურ კოშიცეში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატში ასპარეზობის მეორე დღე გაცილებით მოსავლიანი გამოდგა ქართველთათვის. გვასახელა **უჩა შავაძემ**, რომელიც 60 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **არსენ კახაბრიშვილმა** (74). ასე რომ, ჩვენმა „კლასიკოსებმა" მედლების ერთი სრული კომპლექტი დაიბევეს – წინა დღით ვერცხლს მძიმეწონოსანი **რამინ შაქარიშვილი** შესწვდა. ახლა ჯერი **ნუგზარ სხიერელის** გუნდზეა, დღეიდან კოშიცეში ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ.

50 კგ. წონით კატეგორიაში პირველ წრეში ისვენებდა **მინდია ნულუკიძე**. მეორეში ქართველი მოჭიდავე თურქ **ერჰან კარაკუსს** დაუპირისპირდა და ორ პერიოდში დამარცხდა – 0:6, 1:4. ამ წონით კატეგორიაში სულ 12 მოჭიდავე გამოდიოდა, ნულუკიძემ საბოლოოდ მე-9 ადგილი დაიკავა.

60 კგ. წონით კატეგორიაში უჩა შავაძემ პირველად ფინელი **იუმაა ზაკოლე** დაამარცხა – 3:0, 4:0. მეორე წრეში ქართველმა გერმანელი **ბენიამინ ჰოფმანი** ჩამოიცილა გზიდან – 2:0, 5:3. მესამე წრეში კი რუმინელ **ტომი ჰინოვეატუს** არ მისცა გამარჯვების იოტისოდენა შანსი – 3:0, 5:2. ნახევარფინალში შავაძეს უკრაინელი **მიკოლა ოლენიკი** ელოდა. ტურნირზე პირველად უჩამ პერიოდი დათმო, პირველში 1:2 წააგო, თუმცა შემდეგ ყველაფერი წესრიგში ჩადგა – 8:2, 1:1. ფინალში გასულს აზერბაიჯანელი **ქამრან მამედოვი** დაუპირისპირდა. აქ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენმა შესანიშნავად იჭიდავა, პირველი პერიოდი აშკარა უპირატესობით მოიგო, მართალია, მეორე დათმო, მაგრამ გადამწყვეტ პერიოდში კვლავ დამაჯერებლად იმარჯვა – 7:0, 0:4, 3:0.

74 კგ. წონით კატეგორიაში, არსენ კახაბრიშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ის გერმანელ **კრისტოფერ ფერშთან** ორთაბრძოლაში გამოვიდა გამარჯვებული – 4:1, 3:2. არსენმა შემდეგ რუმინელ **მარიან ფლორეას** მოუგო – 2:0, 7:2. კახაბრიშვილი აზერბაიჯანელ, **რაფიგ ჰუსეინოვთან** ნახევარფინალში დამარცხდა – 1:2, 0:3. მესამე ადგილისთვის მატჩში ქართველი უნგრელ **ლასლო ანტუნოვიჩს** შეხვდა. არსენ კახაბრიშვილმა იმარჯვა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა – 2:0, 3:0.

96 კგ. წონით კატეგორიაში **ვასილ იმერლიშვილის** გვეიმედებოდა, ნიჭიერმა ახალგაზრდა მოჭიდავემ პირველი წრე იოლად გაიარა. მან პოლონელი **ვოისლავ ზიეზიულევიჩი** დაამარცხა – 2:0, 4:1. შემდეგი მეტოქე რუსი **კონსტანტინ ეფიმოვი** იყო, ტურნირის ფავორიტი. მოგეხსენებათ, რუს „კლასიკოსებს" დიდი, ტრადიციული სკოლა აქვთ. ქართველი დამარცხდა – 0:4, 1:2. იმერლიშვილმა რეპეშაჟში გააგრძელა ბრძოლა, სადაც ბულგარელი **მიჰაილ პავლოვი** დაამარცხა – 4:0, 1:2, 4:0. მესამე ადგილისთვის მატჩში ქართველი ფალავანი თურქ **აჰმეთ ტასილდიზს** დაეჭიდა. სამწუხაროდ, იმერლიშვილი კიდევ ერთხელ დამარცხდა ამ ტურნირზე – 2:4, 1:1. ის მეხუთე ადგილს დასჯერდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი**
17-18 ივლისი, კოშიცე (სლოვაკეთი)

| |
|---|
| **50 კგ.** |
| 1. დენის ზადაჩინი (უკრაინა) |
| 2. ალიულა იაფუნიაევი (რუსეთი) |
| 3. ერჰან კარაკუსი (თურქეთი) |
| 3. ხურშუდ ბაბაშოვი (აზერბაიჯანი) |
| .. 9. მინდია ნულუკიძე (საქართველო) |
| **60 კგ.** |
| 1. უჩა შავაძე (საქართველო) |
| 2. ქამრან მამედოვი (აზერბაიჯანი) |
| 3. მურატ შოკაროვი (რუსეთი) |
| 3. ტომი ჰინოევაენუ (რუმინეთი) |
| **74 კგ.** |
| 1. რაფიგ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) |
| 2. სერგი პროსკურა (უკრაინა) |
| 3. არსენ კახაბრიშვილი (საქართ.) |
| 3. ანტონი დიზი (საფრანგეთი) |
| **96 კგ.** |
| 1. კონსტანტინ ეფიმოვი (რუსეთი) |
| 2. არტურას იანკაუსკასი (ლიტვა) |
| 3. აჰმეთ ტასილდიზი (თურქეთი) |
| 3. მარინ ცაზარი (მოლდოვა) |
| .. 5. ვასილ იმერლიშვილი |

წყალში ხტომა. წარმატება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადაზე ვერმოხვედრა სისუსტეს არ ნიშნავს



ჩვენმა ახალგაზრდა წყალში მხტომელებმა - **ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა** პეკინის ოლიმპიადის საგზურები ვერ მოიპოვეს, მაგრამ საერთაშორისო რეიტინგებში წინ მიიწიევენ. ამის შესახებ საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** გვაცნობა.

- ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციებმა გამოაქვეყნეს უფროს წყალში მხტომელთა ახალი რეიტინგები. სინქრონულ ხტომაში, ჭანტურია-კორახაშვილის დუეტი ევროპაში მეშვიდე ადგილზეა, მსოფლიოში კი მეცამეტეზე. მათ 29,66 ქულა აქვთ.

17-18 წლის ბიჭებისათვის, ეს საკმაოდ კარგი შედეგია. ალსანიშნავია, რომ ისინი შარშან მსოფლიოში მეჩვიდმეტეზე, ხოლო ევროპაში მერვე ადგილზე იყვნენ. ასე რომ, პროგრესი აქვთ და გაისად რეიტინგში კიდევ უფრო დაწინაურებას აპირებენ.

რაც შეეხება ინდივიდუალურ ჩათვლას, აქ მხოლოდ წლეულს დაიწყეს ქულების მოგროვება და ამის კვალობაზე, არც ინდივიდუალურში აქვთ ურიგო შედეგები. კონკრეტულად, მსოფლიოს უძლიერეს 110 წყალმხტომელს შორის, შოთა კორახაშვილი 36-ე ადგილზეა, ჭოლა ჭანტურიას კი 43-ე პოზიცია უკავია.

მოკლედ, მართალია, პეკინის ოლიმპიადაზე ვერ მოხვდნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სუსტები არიან...

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# დღეს ფინალია, დღესვე კოკა-კოლა შემოდის...




ლაზარე კუხალაშვილი

ეს შაბათიც და თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 15 000 დოლარია, დასრულდება. 12 საათზე კორტზე ფინალისტები გავლენ და ერთეულთა შორის გამარჯვებულის ვინაობა გახდება ცნობილი. ტიტულისთვის ტურნირზე პირველ და მეორე ნომრად განთესილები იბრძოლებენ: იტალიელი **მატეო მარაი** და სერბი **დავიდ სავიჩი**. მატეოს ნახევარფინალში ლატვიელი **დენისს პავლოვსსი** ჰყავდა, რომელმაც, როგორც იცით, **ნოდარ ითონიშვილს** და **ლაზარე კუხალაშვილს** მოუგო. ლატვიელი რომ ამ შეჯიბრებაზე საუკეთესო არ იყო, იტალიელმა თვალნათელი გახადა - დიდი ძალისხმევის გარეშე მოუგო ორ სეტში - 6:3, 6:4.

არანაკლებ საინტერესო იყო მეორე ნახევარფინალური შეხვედრა, სადაც სავიჩის მეტოქე კორეელი **ჰიუნ-ვუუ ნამი** გახლდათ. ნამი ნახევარფინალამდე სეტყვასავით დაატყდა თავს მეტოქეებს და ისე ჩანდა, რომ სერბსაც წალეკავდა, მაგრამ კაი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა სავიჩი და დაამტკიცა, რომ მეორე ნომრად ტყუილად არ განუთესავთ - 6:4, 6:4 გაიმარჯვა. ფინალური შეხვედრა ნამდვილად კარგი საცქერი უნდა გამოდგეს, - ფავორიტის დასახელებაც ალბათ გაჭირდება.

ვიდრე მარაი და სავიჩი გაარკვევენ უძლიერესს, გუშინ ერთი გამარჯვებულის ვინაობა გახდა ცნობილი: წყვილთა შორის უკრაინულმა დუეტმა **ივან ანიკანოვისა და ალექსანდრ იარმოლის** შემადგენლობით რუსულ-სერბული წყვილი (**ალექსეი ფილენკოვი**, **დავიდ სავიჩი**) გაანადგურეს ორ სეტში - 6:1, 6:3. როგორც ხედავთ, სავიჩმა ერთი ფინალის წაგება უკვე მოასწრო და მეორეს დათმობას ცოცხალი თავით არ დათანხმდება. ვნახოთ, ძალა თუ ეყოფა ქადილისთვის...

იტალიელი მოიგებს თუ სერბი, ამით ჩვენთვის ბევრი არაფერი შეიცვლება - ორგანიზატორები გამარჯვებულებს შესაბამისად დააჯილდოებენ და გზასაც დაულოცავენ, მაგრამ... შორი გზა არც ექნებათ გასავლელი - ისევ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მოუწევთ ოფლის ღვრა, რადგანაც კიდევ ერთი 15 ათას დოლარიანი ტურნირი აიღებს სტარტს, რომელსაც კომპანია "კოკა-კოლა" პატრონობს და მისივე სახელობისაა. დღესვე, ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყება. ჩოგბურთელები 10 საათზე გავლენ კორტზე და სალამომდე გაარკვევენ იმ რვა მონაწილის ვინაობას, ვინც საკვალიფიკაციოს მეორე ეტაპზე დაემატება უკვე ცნობილ რვაეულს. საქმე ის არის, რომ 32 მონაწილიდან, ვისაც უნდა აელო სტარტი საკვალიფიკაციოში, რვას მეტოქე არ გამოუცხადდა და შემდეგ ეტაპზე უბრძოლველად გავიდნენ. საკვალიფიკაციოდან 8 საუკეთესო გამოვლინდება და ძირითად ბადეს შეავსებენ. ამ ეტაპზე 7 ქვეყნის ჩოგბურთელები იასპარეზებენ, მათ შორის ქართველთა რაოდენობრივი უპირატესობა შეინიშნება, თუმცა არც რუსები არიან მცირერიცხოვანი...

**ზვიად შათირიშვილი**

მძლეოსნობა. პეკინი 2008

# მძლეოსნები ოლიმპიადისთვის საქართველოში მოემზადებიან

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტები - **მარიამ ქევხიშვილი** (ბირთვის კვრა) და **დავით ილარიანი** (110 მ. თარჯრბენი) საოლიმპიადოდ თბილისში მოემზადებიან.

ქევხიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს, იქვე ვარჯიშობდა და ამერიკაშივე მოიპოვა პეკინის საგზური. რაც შეეხება ილარიანს, იგი უკრაინაში ემზადებოდა.

რაკილა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობამ გვარიანი შეღავათები უბოძა, გადაწყდა, რომ ქევხიშვილი და ილარიანი ეროვნულ სტადიონზე გაივლიან ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ნაწილს. მათთან ეროვნული ნაკრების თავკაცი **ყარამან საბანაშვილი** იმუშავებს. ამას გარდა, 21 ივლისს, თბილისში ჩამოვა ქევხიშვილის ამერიკელი მწვრთნელი **სტივ ლემკი** და შეგირდს ჯერ აქ დაეხმარება, მერე კი მასთან ერთად წავა პეკინში.

**კობა ხატისაშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# პირველი მარცხი მარსელში

მარსელში მიმდინარე მსოფლიო ტურის ეტაპზე, შეჯიბრების მეორე დღეს **გეორ-გიას** მეტოქე ბრაზილიური დუეტი **ფრანკო-ბენჟამინი** იყო. პირველი სეტი ჩვენმა ფრენბურთელებმა იოლად მოიგეს 21:14. თუმცა, მერე, როგორც ჩანს, ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილი ბრაზილიელები გონს მოეგნენ და ურთულეს ბრძოლაში ქართული წყვილის დამარცხება მაინც შეძლეს 21:19, 16:14.

ახლა, ჩვენს ფრენბურთელებს კიდევ ერთი ბრაზილიური დუეტის, 24-ე წყვილის **შმიდტისა** და **მაციელის** წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. გეორ-გიას დამარცხების უფლება აღარ აქვს.

**ბესიკ ჯანგავაძე**




გეორ-გია

## ჩოგბურთი. პეკინი 2008

# წინ, სერბეთისთვის!



სერბი ჩოგბურთელები - ნოვაკ ჯოკოვიჩი და ანა ივანოვიჩი - პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარ ფავორიტებს შორის შედიან. მართალია ამბობენ, რომ ჩოგბურთში ოლიმპიური მედალი ნაკლებად პრესტიჟულია, ვიდრე სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ ნოვაკისთვის და ანასთვის ეს ასე არ არის. მათი მრავალტანჯული ქვეყნისთვის, ნებისმიერი წარმატება ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს. ამას კარგად აცნობიერებენ ჩოგბურთელები და ამიტომაც, პეკინის კორტებზე თავს არ დაზოგავენ წარმატების მისაღწევად.

**- ნოვაკ, რა მოგონებებს აღძრავს თქვენში ოლიმპიური თამაშები?**

- ყოველთვის ვოცნებობდი, ამ უდიდეს სპორტულ ფორუმზე მეცადა ძალები. იმიტომ, რომ ოლიმპიური თამაშები - ეს უდიდესი ტრადიციაა სპორტში. ის მთელი მსოფლიოს ათლეტებს აერთიანებს. მახსოვს, ბავშვობაში ყოველთვის ვადევნებდი თვალს ოლიმპიადებს. ყველაზე მეტად, გახსნის ცერემონია მომწონდა. მოუთმენლად ველი პეკინში გამგზავრებას, რათა ბავშვობის ოცნება ავისრულო.

**- თქვენ თქვით, რომ ყველაზე მეტად გახსნის ცერემონია გიზიდავთ...**

- დიახ. დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ გახსნაზე ჩვენი ქვეყნის ნაკრების მედროშე მე ვიქნები. თუ ასეთ პატივს დამდებენ, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. ეს ცერემონია - ყველაზე დასამახსოვრებელი სპორტული მოვლენა იქნება ჩემს ცხოვრებაში.

**- ჩოგბურთის გარდა, ამ თამაშებზე სპორტის რომელი სახეობის ნახვა გსურთ?**

- ოლიმპიადაზე მთავარი მოვლენა - მძლეოსნობაა. ძალიან მდიდარია სპორტის ამ სახეობის ოლიმპიური ისტორია. ალბათ, წავალ მძლეოსანთა სტარტების სანახავად. კიდევ კალათბურთი: აქ სერბეთს ბევრი მედალი აქვს მოპოვებული. გარდა ამისა, ოლიმპიურ სოფელში ვიცხოვრებთ, სადაც მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები შეიკრიბებიან. მათთან ურთიერთობა შეუფასებელი გამოცდილება იქნება.

**- განსაკუთრებით რომელ სპორტსმენთან გსურთ შეხვედრა?**

- რთული შეკითხვაა. ბევრთან მინდა გასაუბრება.

**- გარდა ჩოგბურთისა, რომელ სახეობაში ისურვებდით ძალების მოსინჯვას?**

- ჩოგბურთის შემდეგ, ჩემთვის პირველ ადგილზე თხილამურებია, მაგრამ ეს სულ სხვა ოლიმპიური თამაშებია. პეკინში კი... ალბათ, თარჯრბენში (იცინის). არა, უმჯობესი იქნებოდა, 100 მეტრზე სირბილში.

**- სერბეთს ჩოგბურთში ოლიმპიურ მედლებზე რამდენიმე კანდიდატი ჰყავს. რას გეგმავთ პეკინში?**

**- მართლაც, ჩინეთში ჩვენს გუნდს რამდენიმე ფავორიტი ეყოლება. წინა** ოლიმპიადებზე ასეთი რამ არ ყოფილა. მთლიანად სერბეთის ოლიმპიური ნაკრები, ერთი ან ორი მედლის მოპოვებას ახერხებდა - ეს არც ისე სახარბიელო შედეგია ჩვენს ქვეყანაში სპორტის განვითარების მხრივ. დღეს კი, სულ სხვა სიტუაციაა: მედლების ბევრი კანდიდატი გვყავს და ეს ძალიან მახარებს.

### ყოველთვის სერბეთისთვის ვთამაშობ

**- რა გრძნობა გეუფლებათ, როცა საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა გიწევთ?**

- განსაკუთრებული შეგრძნებაა. გასულ წლებში მინახავს, სერბეთის კალათბურთის ან ფრენბურთის ნაკრებები როგორ აღწევდნენ წარმატებას. ამით, ისინი ჩვენს ქვეყანას საუკეთესო ჭრილში წარმოაჩენდნენ. წლევანდელი ოლიმპიადა - ამის გაკეთების კიდევ ერთი კარგი საშუალებაა. უკვე ამის გამო ვარ ბედნიერი. ისე კი, რომელ ტურნირზეც არ უნდა გამოვიდე, ვცდილობ, სერბეთისთვის ვითამაშო.

**- როგორია თქვენი პირველი მოგონებები ოლიმპიურ თამაშებზე?**

- მახსოვს, როგორ მოიგო ჩვენმა საკალათბურთო ნაკრებმა ოლიმპიადის ოქროს მედლები. მაშინ ძალიან ამაყი ვიყავი. ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ, ნებისმიერი სპორტსმენი ამ მოვლენას განსაკუთრებულს უწოდებს. სამწუხაროა, რომ 2004 წელს ვერ შევძელი ათენის თამაშებზე გამოსვლა - მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. მაგრამ ახლა მომეცემა იმის დამტკიცების საშუალება, თუ რას წარმოვადგენ სინამდვილეში.

**- დავუშვათ, რომ ოლიმპიადაზე რომელიმე სინჯის მედალი მოიგეთ. როგორ შეაფასებდით ამ მიღწევას?**

- დარწმუნებული ვარ, ეს ენით აუწერელი გრძნობა იქნება. ასეთ მომენტზე ხომ ნებისმიერი სპორტსმენი ოცნებობს. აქ უფრო ძნელია გამარჯვება, ვიდრე "დიდი სლემის" ტურნირზე, რადგან კარიერის განმავლობაში, ოლიმპიადაზე ორჯერ, მაქსიმუმ სამჯერ მოგიწევს გამოსვლა.

**- კორტის მიღმა, სპორტის სხვა სახეობის ვარსკვლავებს შორის იქნებით მოქცეული. წინ ბევრი საინტერესო შეხვედრა გელით!**

- მოუთმენლად ველი ამ მომენტს. იქ ბევრი ისეთი სპორტსმენი იქნება, რომლებსაც არ შევხვედრივარ, მაგრამ მათ შესახებ ბევრი წამიკითხავს გაზეთებში. ეს არის შანსი, გაიგო როგორ ცხოვრობენ ლეგენდარული სპორტსმენები, როგორ ემზადებიან სტარტებისთვის, როგორ ზეიმობენ გამარჯვებას. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ხოლო თუ ვინმეს დავუმეგობრდები, ეს საუკეთესო ვარიანტი იქნება.

მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# ფეტელი კულტჰარდს შეცვლის

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



"ტორო როსოს" გერმანელი ავტომრბოლი, "ბეიბი შუმის" მეტსახელით ცნობილი **სებასტიან ფეტელი** მომავალ სეზონს "რედ ბულში" გაატარებს, სადაც ბრიტანელ **დევიდ კულტჰარდს** შეცვლის. ამის თაობაზე, რეპორტიორებს "რედ ბულის" ხელმძღვანელობამ აცნობა.

ამგვარად, მერმის ავსტრალიელ **მარკ უებერს** პარტნიორობას 21 წლის ფეტელი გაუწევს, ვისაც ბევრი სპეციალისტი ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებს.

*"ამას ბევრი ვარაუდობდა, ახლა კი ჩვენც ვადასტურებთ, რომ მომავალი სეზონიდან სებასტიან ფეტელი ჩვენი გუნდის წევრი იქნება. შეგვეძლო, ეს ცნობა მოგვიანებით გამოგვეცხადებინა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა იმის დამალვას, რაც ფაქტობრივად, ყველამ კარგად იცოდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ ეს ინფორმაცია სების საშინაო რბოლის, გერმანიის დიდი პრიზის წინ გამოგვეცხადებინა"*, - ამბობს "რედ ბულის" შეფი **კრისტიან ჰორნერი**.

ჰორნერს პილოტთან გაფორმებული კონტრაქტის დეტალები არ გამოუცხადებია, თუმცა დააზუსტა, რომ გერმანელთან მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტია გაფორმებული და ეს კონტრაქტი მის შემდგომ გაგრძელებასაც ითვალისწინებს.

*"მომავალ სეზონს მოუთმენლად ველი. "რედ ბულში" გადასვლა ჩემთვის წინსვლის ტოლფასია და ის ჩემს მიზანსაც წარმოადგენდა. ვიმედოვნებ, რომ ჩემდამი გამოჩენილ ნდობას გავამართლებ, რაც ჩემი შემდგომი წინსვლის საწინდარიც იქნება"*, - ამბობს ფეტელი, ვინც შარშან, აშშ-ის დიდ პრიზზე, "ბეემვე ზაუბერის" შემცვლელ (პოლონელი **რობერტ კუბიცას**) პილოტად იასპარეზა და მერვე ადგილი დაიკავა, რითაც ფორმულა ერთის ისტორიაში გახდა ყველაზე ახალგაზრდა პილოტი, რომელმაც ქულის აღება შეძლო.

გარდა ამისა, ის ფორმულა ერთის ისტორიაში, ყველაზე ახალგაზრდა პილოტია, რომელმაც სარბოლ უქმეებზე იასპარეზა. ეს მან ორი წლის წინათ, თურქეთის დიდი პრიზის თავისუფალ პრაქტიკაზე, იმავე "ბეემვე ზაუბერის" ბოლიდით გააკეთა, როცა 19 წლისა და ერთი თვის იყო.

ფორმულა ერთში ფეტელის საუკეთესო შედეგი შარშან, ჩინეთის დიდ პრიზზე დაკავებული მეოთხე ადგილია. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, "რედ ბულს", რომელიც "რენოს" ძრავებით ასპარეზობს, ჯერჯერობით, მეხუთე ადგილი უკავია (24 ქულით), "ტორო როსო" კი (ფერარის ძრავით) 7 ქულით მეცხრე ადგილზეა.

ჰორნერი ამბობს, რომ ფეტელთან მოლაპარაკება კანადის დიდი პრიზის შემდეგ დაიწყო, როცა უკვე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, რომ კულტჰარდთან კონტრაქტი აღარ გაგრძელდებოდა. იმ მომენტში (და ახლაც) კი, ყველაზე სასურველ პილოტად მან ფეტელი მიიჩნია.

*"სებასტიანი ძალიან ახალგაზრდა პილოტია და მას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რაც შარშან და ამ სეზონში არა ერთხელ დაგვანახა. ამიტომ, ახალი პილოტის თაობაზე ბევრი არ გვიფიქრია. რა თქმა უნდა, ფორმულა ერთში და მის გარეთაც, არაერთი საინტერესო და ნიჭიერი პილოტია, მაგრამ ფეტელი "რედ ბულის" ოჯახის წევრია და ჩვენ შორს ძებნა არ ვისურვეთ. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი წინსვლა ჩვენს გუნდში გაგრძელდება და ჩვენთანვე ის სუპერპილოტად ჩამოყალიბდება"*, - ამბობს ჰორნერი და დასძენს, რომ ფეტელი ამ სეზონს "ტორო როსოსთან" ერთად დაასრულებს, ახალ გუნდში კი ტესტირებას ამ სეზონის დასრულების შემდეგ შეუდგება.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

## ცურვა. ვარსკვლავი

# კიტაძიმა ტიტულების დათმობას არ აპირებს



100 და 200 მეტრზე ბრასში ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი **კოსუკე კიტაძიმა** დარწმუნებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 200 მეტრზე მეტოქედ არ ეყოლება ამერიკელი **ბრენდან ჰანსენი**, ამ დისტანციაზე ტიტულის შენარჩუნება ადვილი მაინც არ იქნება.

ჰანსენი ორივე მანძილზე მსოფლიოს რეკორდსმენი იყო, მაგრამ ერთი თვის წინათ, კიტაძიმამ 200 მეტრზე რეკორდი თითქმის წამით გააუმჯობესა. უფრო მეტიც, ამ მანძილზე ამერიკელმა პეკინში გამოსვლის უფლება ვერ მოიპოვა – ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ფინალში მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. თუმცა, 100 მეტრზე ოლიმპიადაზე მაინც გამოვა და რა თქმა უნდა, იაპონელი მეტოქისთვის ტიტულის წართმევას ეცდება.

*"რა თქმა უნდა, მსურდა, რომ ორივე დისტანციაზე მთავარ მეტოქედ ბრენდანი მყოლოდა. ყველა ამბობს, რომ პეკინში მე უპირობო ფავორიტი ვიქნები. მაგრამ სხვისი ვარაუდები მე არ მაინტერესებს. ჩემთვის მთავარი საკუთარი მომზადება და ჩემ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენაა. მოტივაცია კი არასდროს მაკლდა"*, - ამბობს 25 წლის კიტაძიმა, ვინც ახლახან არიზონაში, მაღალმთიან ბანაკში მზადების ერთთვიანი კურსი დაასრულა და იაპონიაში დაბრუნდა.

ამჟამად 100 მეტრზე ბრასში მსოფლიოს რეკორდსმენი ჰანსენია, ვისი დროც 59.13 წამია. 200 მეტრზე კი რეკორდს (2 წუთი და 07.51 წამი) კიტაძიმა ფლობს. ორივე მოცურავე კომპანია "სპიდოს" საოცარი საცურაო ეკიპირებით, "LZR რეისერით" ასპარეზობს. სხვათა შორის, იაპონელ მოცურავეებს სამ იაპონურ კომპანიასთან ჰქონდათ კონტრაქტები, მაგრამ ქვეყნის ცურვის ფედერაციამ ამ კონტრაქტებისგან გაათავისუფლა, რასაც უმალ კიტაძიმას რეკორდი მოჰყვა.

*"ჰანსენი ას მეტრზე ყველა ღონეს იხმარს, რომ ჩემპიონი გახდეს. მისი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ეს არ მაინტერესებს. მთავარი ისაა, რომ უბრძოლველად ტიტულის დათმობას არ ვაპირებ. ასი მეტრი ჩემთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასზე გამარჯვების შემთხვევაში, ორას მეტრზე უფრო თავდაჯერებული ვიქნები. მოკლედ, ას მეტრზე განსაკუთრებული განწყობა მაქვს"*, - ამბობს კიტაძიმა.

ცნობისთვის, ამ ორი სუპერმოცურავის დაპირისპირება აქტუალური ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, ათენის ოლიმპიადამდე გახდა. ათენამდე ერთი თვით ადრე, ჰანსენმა ორივე მანძილზე იაპონელს მსოფლიო რეკორდები მოუხსნა. რა თქმა უნდა, ოლიმპიადაზეც ყველა ამერიკელის ტრიუმფს ელოდა, მაგრამ კიტაძიმამ სრული რევანშის აღება შეძლო. აქედან მოყოლებული, ერთი წლის განმავლობაში, მათი დაპირისპირება უფრო ხშირად იაპონელის გამარჯვებით მთავრდებოდა. მაგრამ 2005 წელს ჰანსენმა, ვისაც 27 წელი აგვისტოში შეუსრულდება, ორივე მანძილზე კიდევ მოხსნა რეკორდები, რის შემდეგაც, მათი დუელი მხოლოდ ამერიკელის გამარჯვებით მთავრდება ხოლმე.

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩენილ სამ კვირაში კიტაძიმა იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და პეკინში ივარჯიშებს. ის თვლის, რომ სწორედ ამ ვარჯიშებზე მიაღწევს ფორმის პიკს და იმედოვნებს, რომ ოლიმპიადისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

ოლიმპიადაზე მოცურავეთა ტურნირი სტარტს 9 აგვისტოს აიღებს, 100 მეტრზე ბრასში კი ფინალური გაცურვა 11 აგვისტოს გაიმართება.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ისევ კავენდიში



დოპინგსკანდალებით გაჯერებული წლევანდელი ტურ დე ფრანსი ჯერჯერობით, ბრიტანელი სპრინტერის, **მარკ კავენდიშის** ბენეფისად იქცა – გუნდ "კოლუმბიას" ლიდერმა უკვე ოთხი ეტაპის მოგება მოასწრო და არაა გამორიცხული, რომ სანამ პელოტონი პარიზს მიადგებოდეს, კიდევ ერთხელ გაგვაოცოს თავისი სისწრაფითა და მოხერხებულობით.

სპრინტერულ ეტაპებზე მოპოვებული ოთხი გამარჯვების მიუხედავად, სპრინტერთა კლასიფიკაციაში კავენდიში მაინც მეორე ადგილზეა და 28 ქულას აგებს ესპანელ **ოსკარ ფრეირესთან**, ვისაც ჯერ არც ერთი ეტაპი არ მოუგია.

საერთო კლასიფიკაციაში კი ლიდერის ყვითელ მაისურას კვლავაც ინარჩუნებს ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი**, ვისაც ისევ ერთი წამით ჩამორჩება უახლოესი მდევარი – ლუქსემბურგელი **ფრანკ შლეკი.**

კავენდიშის გუშინდელი გამარჯვება იმითაცაა საინტერესო, რომ საფინიშო სპურტში მან სპრინტის ისეთ აღიარებულ ოსტატს აჯობა, როგორიც ავსტრალიელი **რობი მაკიუენია.** შეგახსენებთ, რომ ოზ ველომრბოლს ტურის 12 ეტაპი აქვს მოგებული, მწვანე მაისურას (საუკეთესო სპრინტერის) კი სამჯერ ფლობდა. რაც შეეხება კავენდიშს, ბოლო ხუთ წელიწადში ის პირველი ველომრბოლია, ვინც ერთ ტურზე ოთხი ეტაპის მოგება შეძლო. ხუთი წლის წინათ, ანალოგიური მიღწევა სახელოვან იტალიელ **ალესანდრო პეტაკის** ჰქონდა.

გუშინდელი ეტაპი რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, რომ ფრანგმა **ფლორენ ბრარმა** და ჰოლანდიელმა **ნიკი ტერპსტრამ** პელოტონი უკან მოიტოვეს და მალე მათი უპირატესობა ათ წუთამდეც კი გაიზარდა. ფინიშამდე ოცი კილომეტრით ადრე, ტერპსტრამ ბრარიც უკან მოიტოვა, მაგრამ ათი კილომეტრის შემდეგ, ორივე პელოტონმა "დაიბრუნა". შემდეგ ბედი დროზე ინდივიდუალურ რბოლაში საფრანგეთის ჩემპიონმა **სილვენ შავანელმა** სცადა, მაგრამ სპრინტერების გუნდების მცდელობით, პელოტონმა ისიც შეიერთა.

კავენდიშმა გადამწყვეტი შეტევა მაშინ დაიწყო, როდესაც ფინიშამდე სულ რაღაც 200 მეტრიღა რჩებოდა. მაკიუენმა კონტრიერიში სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და საბოლოოდ, მეორე ადგილს დასჯერდა.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

მე-13 ეტაპი.
ნარბონედან ნიმამდე (168.5 კმ)

1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, კოლუმბია) 4:25.42 (41.10 კმ/სთ); 2. რობი მაკიუენი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) იგივე დროში; 3. რომენ ფეილუ (საფრანგეთი, აგრიტუბელი); 4. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, გეროლშტაინრი); 5. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი); 6. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი); 7.ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი); 8.ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 9. ჯულიან დინი (ახ.ზელანდია, გარმინ-ჩიპოტლე); 10. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 13 ეტაპის შემდეგ

1. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 54:48.47; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.01; 3. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.38; 4. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 0.46; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.57; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.28; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 1.56; 8. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, AG2R ლა მონდიალი) 2.32; 9. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3.51; 10. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკვიგაზი) 4.18...

მძლეოსნობა. პეკინი 2008

# ოტი არ ბერდება



იამაიკური წარმოშობის სპრინტერი **მერლინ ოტი** 48 წლისაა და ოლიმპიადებზე შვიდჯერ უასპარეზია, მაგრამ ასაკს არ ნებდება და პეკინში გამოსვლის უფლებისთვის იბრძვის. ოღონდ, თუ ეს შეძლო, (ისევე როგორც ათენში) სლოვენიის დროშით იასპარეზებს.

ოტიმ პირველად ოლიმპიადაზე 1980 წელს, მოსკოვში იასპარეზა. მას შემდეგ, შვიდ ოლიმპიადაზე რვა მედლის მოპოვება მოახერხა, ასეთი მონაგარი კი ოლიმპიურ თამაშებზე არც ერთ ქალ მძლეოსანს არ ჰქონია. აქედან ექვს ოლიმპიადაზე მან იამაიკის სახელით იასპარეზა, ათენში კი სლოვენიის დროშით გამოვიდა.

*"რა თქმა უნდა, მერლინს პეკინში გამოსვლის სურვილი აქვს. რვა ოლიმპიადაზე აქამდე არავის უასპარეზია და თუ პეკინში ჩავა, მისთვის ესეც დიდი მიღწევა იქნება. დარწმუნებული ვარ, თუ ამინდი ხელს შეუწყობს, მას ოლიმპიური საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვა შეუძლია"*, - ამბობს ოტის სლოვენიელი მწვრთნელი **სრდიან ჯორჯევიჩი**, ვინც დასძენს, რომ ბოლო წლებში, ოტის ალერგია დასჩემდა, რომელიც აპრილში ეწყება და ივლისში გაუვლის ხოლმე.

ოლიმპიადებზე მოპოვებული მედლების გარდა, ოტის მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14 მედალიც აქვს მოპოვებული, რომელთაგან ორი ოქროსია. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000 წელს), ესტაფეტაში ის ვერცხლს დაეუფლა და ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ხნიერი ქალი მედალოსანი გახდა. იმავე ოლიმპიადაზე, მან ას მეტრზე სპრინტში მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შარშან ამერიკელმა **მერიონ ჯონსმა** დოპინგის გამოყენება აღიარა, ოტი მესამე ადგილამდე აწინურდა და ბრინჯაო ერგო. 2002 წელს ოტიმ მოქალაქეობა შეიცვალა და სლოვენიის პასპორტი აიღო.

მერაბ ლორთქიფანიძე

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აუე-კოტბუსი | 0:0 |
| ფრანქფურტი-ბუდეიოვიცე | 0:0 |
| ბოლესლავი-ზალაეგერსეგი | 2:1 |
| ნიურნბერგი-სტიაუა | 0:0 |
| პარტიზანი-ბეითარი | 2:2 |
| ვინტერტური-ციურიხი | 2:0 |
| არმინია-აეკ | 1:1 |
| ჰანოვერი-პორტუ | 1:1 |
| რაშდენი-ბრისტოლი | 1:0 |
| იორკი-მიდლსბრო | 2:2 |
| კიდერმინსტერი-პლიმუტი | 2:2 |
| პიტერჰედი-აბერდინი | 4:0 |
| საუთჰემპტონი-სელტიკი | 0:2 |
| სუინდონი-პორტსმუტი | 1:3 |
| ექსეტერი-პორტ ვეილი | გადაიდო |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-გალვეი | 0:1 |
| დერი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| **შვეიცარია** | |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| რიდი-კაპფენბერგი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუშტენაუ-ფოკლაბრუკი | 2:1 |
| ტიროლი-აუსტრია A | 3:0 |
| გრატკორნი-აუსტრია (ლ) | 2:0 |
| ლეობენი-ვინერი | 0:1 |
| ზალცბურგი A-გრიოდიგი | 2:1 |

| უკრაინა | |
|---|---|
| ხარკოვი-ვორსკლა | 0:1 |
| **ბრაზილია** | |
| კურიტიბა-ფლამენგო | 1:0 |
| ინტერნასიონალი-ატ. მინეირო | 1:0 |
| ვასკო-გოიაში | 1:1 |
| **აშშ** | |
| კოლამბუსი-კანზასი | 3:3 |
| **პლაჟის ფეხბურთი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| ბრაზილია-ესპანეთი | 3:2 |
| მექსიკა-იაპონია | 4:3 |
| რუსეთი-არგენტინა | 3:5 |
| საემიროები-კამერუნი | 10:4 |
| **კალათბურთი** | |
| **პეკინი 2008** | |
| **შესარჩევი. 1/4 ფინალი** | |
| ხორვატია-კანადა | 83:62 |
| სლოვენია-პუერტო რიკო | 70:81 |
| გერმანია-ბრაზილია | 78:65 |
| საბერძნეთი-ზელანდია | 75:48 |
| **ფრენბურთი** | |
| **მსოფლიო ლიგა** | |
| ბრაზილია-ვენესუელა | 3:0 |
| რუსეთი-კორეა | 3:1 |
| ბულგარეთი-აშშ | 3:2 |
| ფინეთი-ესპანეთი | 3:2 |
| იტალია-კუბა | 3:1 |
| პოლონეთი-ეგვიპტე | 3:0 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 3:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ამერსფორტი** | |
| აკასუსო-მონტანიესი | 0:6, 2:6 |
| ჟიკელი-გაბაშვილი | 6:4, 6:1 |
| დარცისი-კ. როხუსი | 7:5, 6:3 |
| **ATP. ინდიანაპოლისი** | |
| ჰაასი-სიმონი | 6:4, 4:6, 2:6 |
| კუერი-რეინოლდსი | 6:1, 3:6, 6:3 |
| **ATP. კიტცბუელი** | |
| დევილდერი-პეია | 6:4, 6:4 |
| დელ პოტრო-როიტმანი | 6:2, 6:4 |
| სტარაჩე-შვანკი | 6:1, 6:2 |
| ჰანესკუ-დაბული | 6:3, 6:4 |
| **ATP. უმაგი** | |
| ვერდასკო-ზვერევი | 7:5, 7:5 |
| ანდრეევი-კანიასი | 7:5, 6:4 |
| მ. გონსალესი-კარანუშიჩი | 2:6, 6:3, 7:6 |
| მოია-ფონინი | 4:6, 3:6 |
| **WTA. ბად გაშტაინი** | |
| შპრემი-ჰლადიკოვა | 3:6, 6:1, 4:6 |
| ბაშჩინსკი-ჰრადეცკა | 1:6, 4:6 |
| ვოზნიაჩკი-კორიტცევა | 4:6, 6:4, 6:7 |
| მოისბურგერი-ანი | 6:2, 2:6, 6:3 |
| ბენეშოვა-ვოსკობოევა | 6:4, 4:6, 6:1 |
| შავაი-კლაფნერი | 3:6, 7:6, 7:6 |
| გრონეფელდი-პარმენ | 5:7, 6:4, 4:6 |

## TV სპორტი

### 19 ივლისი. შაბათი

**I არხი**

12:20 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. კაცები. თბილისი (LIVE).

**RenTV**

15:50 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. X ეტაპი. კვალიფიკაცია. გერმანიის გრანპრი. (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
15:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:25 ევრო 2008. ფინალი. ხორვატია-გერმანია.
17:25 საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. კაიზერ ჩიფსი (სამხრეთი აფრიკა)-მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი). სამხრეთ აფრიკა (LIVE).
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ამკარი (LIVE).
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:15 ევრო 2008. ფინალი. ავსტრია-პოლონეთი.
00:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი.
09:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. უმაგი. ხორვატია.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
15:05 სპორტის სამყარო.
15:35 მძლეოსნობა.
16:25 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
18:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-ინტერი.
20:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია (LIVE).
01:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-კრუზეირო (LIVE).
03:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი.
05:10 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
05:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შტუტგარტი-დორტმუნდი.

**EUROSPORT**

10:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ტური.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. ფინეთი-ესპანეთი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ბრაზილია. მარსელი. საფრანგეთი.
14:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
14:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIII ტური.
15:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ტური (LIVE).
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სალვადორი-იტალია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მარსელი. საფრანგეთი.
21:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ირანი-საფრანგეთი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 პროფესიული კრივი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ტური.
00:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სტენფორდი. აშშ.
03:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ტური.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ბრაზილია. მარსელი. საფრანგეთი.
14:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. ფინეთი-ესპანეთი.
15:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. სერბეთი-საფრანგეთი.
16:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სენეგალი-ურუგვაი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
18:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სოლომონის კ-ები-პორტუგალია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
19:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
20:15 ახალი ამბები.
22:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. VI ტური. ბულგარეთი-აშშ.
00:00 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ახალი ამბები.

### 20 ივლისი. კვირა

**I არხი**

12:20 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. კაცები. თბილისი (LIVE).

**RenTV**

15:45 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. X ეტაპი. გერმანიის გრანპრი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. კაიზერ ჩიფსი (სამხრეთი აფრიკა)-მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი). სამხრეთ აფრიკა.
14:10 ევრო 2008. ფინალი. ავსტრია-პოლონეთი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.
18:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 ევრო 2008. ფინალი. იტალია-რუმინეთი.
22:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. 1/4 ფინალი. ლივერპული-არსენალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-ინტერი.
09:00 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
09:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. უმაგი. ხორვატია.
11:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
11:55 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბარსელონა. ესპანეთი.
13:55 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
15:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-კრუზეირო.
16:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-არმინია.
19:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სამპდორია-რომა.
20:45 სპორტის სამყარო.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. ფინალი. უმაგი. ხორვატია (LIVE).
00:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბარსელონა. ესპანეთი.
03:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-არმინია.
05:50 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
05:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სამპდორია-რომა.

**EUROSPORT**

10:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
11:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. ჩეხეთი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. გერმანია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
15:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ტური (LIVE).
17:45 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-იტალია. ჩეხეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-უნგრეთი. ჩეხეთი (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ტური.
00:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სტენფორდი. აშშ.
03:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი (LIVE).
13:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ინდიანაპოლისი. აშშ.
14:15 ახალი ამბები.
14:30 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. გერმანია.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. სამხრეთი აფრიკა (LIVE).
16:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-მექსიკა. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
18:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-საემიროები. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
19:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. კამერუნი-რუსეთი. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
21:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-ბრაზილია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
23:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. სამხრეთი აფრიკა.
00:00 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ინდიანაპოლისი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ოლიმპიური უცნაურობანი



პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე სამი კვირა დარჩა, მაგრამ სპორტსმენები და გულშემატკივრები უკვე გვაკვირვებენ მოულოდნელი მიღწევებითა თუ რეკორდებით. რაც უფრო ახლოვდება თამაშები, მით უფრო ბევრი მხიარული და ხანდახან სულელური მოვლენების მოწმენი ვხდებით, რომელიც ოლიმპიურ თემატიკას ეხება.

რად ღირს თუნდაც ტყვიის სროლაში ნორვეგიის ჩემპიონის, **არე ჰანსენის** საქციელი. ამ ვაჟბატონმა შიშველი ფოტოების გადაღება გადაწყვიტა იმის გამო, რომ პეკინში გასამგზავრებელი ფული ეშოვნა. საქმე ისაა, რომ ნორვეგიაში ტყვიის სროლის ასოციაციას საშუალება არ ჰქონდა, სპორტსმენის ჩინეთში გადაფრენა დაეფინანსებინა. ამიტომაც, ჰანსენს ასეთი ორიგინალური ხერხით მოუწია გამოსავლის პოვნა. 24 წლის სპორტსმენი მთლიანად გაშიშვლდა და ხელში თავისი საყვარელი შაშხანა ეჭირა.

თუმცა, მხოლოდ ნორვეგიელს არ მოუწია ამ ხერხით მომავალი ოლიმპიადისთვის გამოხმაურება. ანალოგიური ფოტოსესიები მოაწყვეს ესპანელმა ჩოგბურთელმა **ფერნანდო ვერდასკომ** და ამერიკელმა მოცურავემ **ამანდა ბერდმა**. ამ უკანასკნელისთვის მსგავსი ფოტოსესია ახალი ამბავი არ არის. ადრე, ბერდის ფოტოები "პლეიბოიში" დაიბეჭდა, ახლა კი, ამანდას შიშველი სურათები ჟურნალ FHM-ის მკითხველებმაც იხილეს. რაც შეეხება რობრედოს, მან "კოსმოპოლიტენის" ქალი მკითხველები გაახარა. თუმცა ესპანელი სპორტული ჩინოვნიკებისთვის, ჩოგბურთელის ეს ჟესტი არადამაჯერებელი აღმოჩნდა და ფერნანდო ოლიმპიურ ნაკრებში ვერ მოხვდა.

გაცილებით ორიგინალურები არიან გულშემატკივრები. განსაკუთრებული ფანტაზიით ჩინელები გამოირჩევიან. მაგალითად, პეკინის მცხოვრებმა **გო ჩჟანციმ** მშობლიური ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება გადაწყვიტა და თითოეული მოკლული ბუზისთვის ჯილდო დააწესა! თავის აქციას მან ასე უწოდა - "დიადი ოლიმპიადა ბუზების გარეშე". აქტივისტი ყოველი მოკლული მწერისთვის 2 იუანს (25 ცენტი) გადაიხდის.

ჩინეთის კიდევ ერთმა მოქალაქემ, თავისი სხეულის 90 პროცენტი სვირინგებით მორთო. ბოლო ნახატი, რომელიც 44 წლის მამაკაცმა იღლიის ქვეშ ამოისვირინგა, ოლიმპიადის ჩირაღდანი იყო. მისმა თანამემამულემ კი, გადაპარსულ თავში 205 ნემსი ჩაირჭო, რომლებზეც 2008 წლის ოლიმპიადის მონაწილე ყველა ქვეყნის დროშა იყო დამაგრებული.

გულწრფელად გვჯერა, რომ ამით სიურპრიზები არ ამოიწურება და ოლიმპიადის დროს კიდევ ბევრ საინტერესოს ვიხილავთ.

# ჩიტის ბუდის საიდუმლოებები



ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია. რეპეტიციის თვითმხილველებს პირობა აქვთ მიცემული, რომ 8 აგვისტოს დაგეგმილი შოუს ნიუანსებს არავითარ შემთხვევაში არ გაამხელენ.

მიუხედავად ამისა, გარკვეულმა ინფორმაციამ მაინც გაჟონა. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები, რომლებიც იმპერატორ **ცინ შიხუას** არმიის ლეგენდარულ მეომრებს განასახიერებენ. აგრეთვე სტადიონზე ვიხილავთ "ქამელეონის კოსტიუმებში" გამოწყობილ მსახიობებს. მათი სამოსი დამოუკიდებლად შეიცვლის ფერს.

რაც შეეხება ოლიმპიურ სტადიონზე ("ჩიტის ბუდე") თამაშების მთავარი ცეცხლის დანთებას, ცერემონიის ამ ნაწილში ხუთი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას, თუმცა მათი გვარები ასევე მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

ფოტო, რომელსაც აქ გთავაზობთ, გახსნის ცერემონიის რეპეტიციისას არის გადაღებული.

**გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**

# მდიდარი ოლიმპიელები

საქვეყნოდ ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა "ფორბსმა", იმ სპორტსმენებიდან, რომლებიც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მიემგზავრებიან, 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ოლიმპიელი გამოარჩია.

ამ სიაში კალათბურთელები ჭარბობენ - გასული წლის შედეგების მიხედვით, ათიდან შვიდი ყველაზე მდიდარი სპორტსმენი NBA-ის ლეგიონერია. ათეულში ერთადერთი ქალი მოხვდა - რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**, რომლის წლიური შემოსავალი 16.3 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ მაჩვენებლით მარია მე-7 ადგილს იკავებს. აქვეა კიდევ ერთი ჩოგბურთელი - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** - ის თავისი 22 მილიონით მე-4 პოზიციაზე იმყოფება. ათეულში კიდევ ერთი არაკალათბურთელია, "მილანში" გადასული ბრაზილიელი ფეხბურთელი - **რონალდინიო** (23.2 მილიონი, მე-3 ადგილი).

პეკინის ოლიმპიადის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სია ასე გამოიყურება (რეიტინგის შემდგენლებს ერთი შეეშალათ: გერმანელ **დირკ ნოვიცკის** ჯერ არ მოუპოვებია პეკინის საგზური. ამისთვის, დალასელის გერმანიის ნაკრები ათენში მიმდინარე შესარჩევი ტურნირის სამეულში უნდა მოხვდეს. გუშინ, ნოვიცკის გუნდი მეოთხედფინალში ბრაზილიას ხვდებოდა):

1. **კობი ბრაიანტი (კალათბურთი, აშშ) - 24,5 მლნ**
2. **ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი, აშშ) - 23,8 მლნ**
3. **რონალდინიო (ფეხბურთი, ბრაზილია) - 23,2 მლნ**
4. **როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი, შვეიცარია) - 22 მლნ**
5. **იაო მინი (კალათბურთი, ჩინეთი) - 17,6 მლნ**
6. **დუეინ უეიდი (კალათბურთი, აშშ) - 16,9 მლნ**
7. **მარია შარაპოვა (ჩოგბურთი, რუსეთი) - 16,3 მლნ**
8. **დირკ ნოვიცკი (კალათბურთი, გერმანია) - 15,7 მლნ**
9. **ჯეისონ კიდი (კალათბურთი, აშშ) - 12,5 მლნ**
10. **პაუ გასოლი (კალათბურთი, ესპანეთი) - 9,4 მლნ**




კობი ბრაიანტი

## ფოტო-ინფო





შარშანდელი მასტერსის დროს

ATP-ის მადრიდული მასტერსი სხვა ანალოგიური ტურნირებისგან იმით განსხვავდება, რომ მეორე წელიწადია, აქ ბურთის მიმწოდებლებად არა პატარა ბიჭები, არამედ Hugo Boss-ის პროფესიონალი მოდელები იმუშავებენ. ამ ტრადიციას გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი და ამ სეზონში გაგრძელდება.

მადრიდის მასტერსის ორგანიზატორები უკვე ატარებენ ქასტინგს ესპანელ მოდელებს შორის. მსურველები საკმაოდ არიან...




ამერიკელი ქალი ჩოგბურთელი **ეშლი ჰარკლროუდი** კორტზე ვერ ბრწყინავს. მან თავისი დაბალი რეიტინგის გამო, პეკინის ოლიმპიადის საგზურიც კი ვერ მოიპოვა. სამაგიეროდ, ჰარკლროუდმა სხვა მხრივ გამოიჩინა თავი - "პლეიბოის" აგვისტოს ნომერში ფოტოსესია გამართა. ჟურნალი ჯერ გაყიდვაში არ გამოსულა, მაგრამ ნომრის რეკლამისთვის, წინასწარ გაავრცელეს მისი გარეკანი.



ლეგენდარულმა უელსელმა ფეხბურთელმა, **რაიან გიგზმა** "მანჩესტერ იუნაიტედში" მოპოვებულ უამრავ ტიტულს, კიდევ ერთი გამარჯვება დაუმატა. მან თანამედროვე ხელოვნების დარგში სამეცნიერო ხარისხი დაიმსახურა. გიგზს შესაბამისი სერთიფიკატი სელფორდის უნივერსიტეტმა გადასცა.